პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 176 (10262) | ოთხშაბათი, 27 ივლისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საკვების დამზადების გადამწყვეტი პერიოდი. — „პრავდის“ 26/VII მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

დარბაზობა სსრ კავშირის ბერლინის საელჩოში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია პოლონეთში (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ვარშავიდან მოსკოვს გამოემგზავრა (1-ლი გვერდი).

მთელი ძალები — საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად. მრეწველობის შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის. — რა არის ჩვენთან ახალი!, დ. ლომმთაძე. — ნოვატორები მოითხოვენ..., ტ. კობიძე. — პარტიული ორგანიზაცია და რაციონალიზატორები, ვ. ბუღულეკა. — მექანიზაციის გზით (მე-2 გვერდი).

ჟენევის თათბირმა დასასრულს მიუტანა ახალ ეტაპს საერთაშორისო ურთიერთობებში (მე-3 გვერდი).

რ. დავითური. — თვითეულ დედაღორზე 20 გოჭი (მე-3 გვერდი).

ა. ფირცხალავა. — სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საკვების დამზადების გადამწყვეტი პერიოდი

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მიმდინარე წელს მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს მეცხოველეობის უზრუნველყოფას საკვებით. მნიშვნელოვნად გადიდდა საკვები კულტურების ფართობები, განხორციელდა ღონისძიებანი ბალახის მოსავლის გასადიდებლად მდელოებსა და საძოვრებზე. მაგრამ საკვები ბაზის განმტკიცებაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს სიმინდი, რომლის ნათესი მიმდინარე წელს შეადგენს 17,9 მილიონ ჰექტარს — 13,6 მილიონი ჰექტარით მეტს, ვიდრე შარშან.

ახლა დაიწყო საკვების დამზადების გადამწყვეტი პერიოდი. ყველგან მიმდინარეობს თიბვა, გაჩაღებულია საადრეო სილოსის ჩადება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მალე შეუდგებიან სიმინდის ცალ-ცალკე აღებას და მისი ტაროს და ღეროს დასილოსებას. ჩვენი ქვეყნის ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ კარგად მოაწყო საკვების დამზადება, პურეულის მასობრივი აღების დაწყებამდე დაამთავრა თიბვა, წარნატებით აწარმოებს საადრეო სილოსის ჩადებას, უნარიანად მოაწყო სიმინდის ნათესების მოვლა და მისი აღებისათვის მზადება.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებში საკვების დამზადება დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს, რასაც შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყვეს. ავიღოთ, მაგალითად, ბელორუსიის სსრ. აქ 20 ივლისისათვის აღებულია 566 ათასი ჰექტარით ნაკლები ბალახი, ვიდრე შარშან იმავე თარიღისათვის. კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ამ ჩამორჩენას იმით ხსნიან, რომ გვიან დაიწყო გაზაფხული, ნელა იზრდებოდა ბალახი. მართალია, რომ კოლმეურნეობებმა ბალახის აღება ჩვეულებრივზე ცოტა გვიან დაიწყეს, მაგრამ ისინი პირველი ხუთდღიური როდია, რაც ბალახს იღებენ. ამავე დროს 15-დან 20 ივლისამდე რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა გათიბეს მხოლოდ 397 ათასი ჰექტარი ბალახი, თუმცა იყო შესაძლებლობა მნიშვნელოვნად მეტი აეღოთ. თივის აღების ტემპი დაბალია ლატვიისა და ლიტვის სს რესპუბლიკებში, რუსეთის ფედერაციის კურსკის, ბოსკოვის, კალუგის, კალინინის, ვოლგოგრადისა და ზოგიერთ სხვა ოლქში.

საკვების დამზადების, კერძოდ, თიბვის ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს კოლმეურნეობათა წინაშე. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ზოგიერთი ოლქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ამ უკანასკნელ ხანს შეასუსტეს ხელმძღვანელობა მტს-ებისადმი, შეამცირეს მომთხოვნელობა მათი ხელმძღვანელებისადმი. ამის შედეგად მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში არსებული ტექნიკა ნაყოფიერად არ არის გამოყენებული, მტს-ების ძალებით ბალახის აღების დავალებანი არ სრულდება.

20 ივლისისათვის ჩვენი ქვეყნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს თიბვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ მხოლოდ 42 პროცენტით და სილოსის ჩადების გეგმა ნხოლოდ 6 პროცენტით. ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში მტს-ების ტექნიკას არსებითად არც კი იყენებენ საკვების დასასილოსებლად. ასეთ უპასუხისმგებლობას ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა მკვეთრად გავაძლიეროთ თიბვისა და საკვების დასილოსების ტემპი, დიდი წარმადობით გამოვიყენოთ ამ სამუშაოებზე მტს-ების მანქანები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალები და საშუალებები.

ამ დღეებში უმნიშვნელოვანესი სამუშაოა ყოველმხრივი მზადება სიმინდის აღებისათვის. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში სიმინდი უკვე იკეთებს ტაროს. საქართველოს სს რესპუბლიკაში, უკრაინის, ოდესის, ნიკოლაევის, დნეპროპეტროვსკის, ხერსონის ოლქებში სიმინდის ტაროს მალე მიაღწევს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეს. გავლის რამდენიმე დღე და აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგებიან ტაროს აღებასა და დასილოსებას.

რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის დროს აღებული სიმინდი ბევრ შაქარს შეიცავს და ამიტომ კარგად კონსერვდება და ინახება. ამას ადასტურებს მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება.

შარშან ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების გზამ“, ჟიტომირის ოლქის კოლმეურნეობა „ბოლშევიკმა“, ხმელნიცკის ოლქის კოტოვსკის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს, დიდძალი სილოსი მოამზადეს რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის დროს აღებული ტაროსაგან.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა და საბჭოთა ნეურნეობების ხელმძღვანელებმა ახლავე უნდა მოამზადონ გამოცდილი კადრები სიმინდის დასილოსებაზე სამუშაოდ, გაამზადონ არსებული ტექნიკა. კოლმეურნეობებში, სადაც სიმინდის ტაროს ასაღები მანქანები დააკლდებათ, უნდა მოეწყოს ტაროს ტეხა ხელით, ამ მიზნით დამზადდეს კალათები, ტაროს მოსაჭრელი დანები და სხვ.

მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა მუშაობა მოპირკეთებული ტრანშეების, ორმოებისა და სხვა სილოსსაცავთა ასაგებად.

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობას განსაკუთრებით დიდი გაქანება მიეცა უკრაინაში. ამ რესპუბლიკის კოლმეურნეობები ახლა ერთიოთხად და უფრო მეტ სილოსსაცავს აშენებენ, ვიდრე შარშან ჰქონდათ. უკვე შესრულებულია დიდი მუშაობა: 1 ივლისისათვის აქ მარტო მოპირკეთებული ტრანშეები აშენდა 7 მილიონი ტონა სილოსის ტევადობისა — ერთისამად და უფრო მეტი, ვიდრე შარშან.

მაგრამ ყველგან ასე როდია საქმე. მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის გეგმის დროზე შესრულება ჩაშლის საფრთხეშია. ნელი ტემპით და ცუდად შენდება სილოსსაცავები საქართველოს, სომხეთის, ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში, გორკის ოლქში, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში და ზოგიერთ სხვა რაიონში.

საკვების საჭირო მარაგის შექმნა და კარგ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის ყოველდღიურ ყურადღებასა და სერიოზულ ღონისძიებებს მოითხოვს.

„პრავდის“ 26-VII მოწინავე.

ვარშავიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

26 ივლისს ვარშავიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან უკრაინის სსრ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. პ. ბაჟანი, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი დ. ი. რაიზერი, ბელორუსიის სსრ კულტურის მინისტრი გ. ი. კისელიოვი და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ვ. მირონოვა. საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პოლონეთის აღორძინების დღის დღესასწაულში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ი. შუტოვიჩის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. ა. ი. შუტოვიჩის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და რევოლუციურ მოძრაობაში მისი მონაწილეობის აღსანიშნავად, ამხ. ანტონ ივანეს-ძე შუტოვიჩი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 25 ივლისი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 25 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფმა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის შემადგენლობით დღეს იმოგზაურა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას ახლდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტევოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე პ. შოლცი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები გ. მატერნი, კ. შირდევანი, ფ. ელსნერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. მიუკენბერგერი, მინისტრები ზელბმანი და რაიჰელტი. დელეგაციას ახლდა აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

გზაზე ყველგან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა მხურვალედ მიესალმებოდა საბჭოთა მთავრობის დელეგაციას და მის თანმხლებ პირებს. რესპუბლიკის იმ ქალაქებისა და სოფლების ქუჩები და მოედნები, სადაც გაიარა საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ, ხალხით იყო სავსე. გამოკიდებული იყო სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები.

დესაუს ახლოს, ელბის ხიდზე, დელეგაციას შეხვდნენ ჰალეს ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები. აქ გაიმართა ხანმოკლე მიტინგი.

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა, რომელშიც მან მოკლედ ილაპარაკა ჟენევის თათბირის მუშაობაზე და დაახასიათა საბჭოთა მთავრობის პოზიცია გერმანიის საკითხში. შეკრებილთა ტაშის გრიალში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გამარჯვება უსურვა დიდ გერმანელ ხალხს, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია და მისი თანმხლები პირები იყვნენ ბერნბურგის (ჰალეს ახლოს) მემცენარეობის ინსტიტუტში. ინსტიტუტის თანამშრომლები და მოსახლეობა მხურვალედ მიესალმნენ ძვირფას სტუმრებს ნ. ა. ბულგანინს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და ო. გროტეევოლს.

ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნენ ინსტიტუტის მუშაობას, ესაუბრნენ მის ხელმძღვანელებსა და მეცნიერ მუშაკებს. ნ. ს. ხრუშჩოვს განსაკუთრებით აინტერესებდა ინსტიტუტის მუშაობა სიმინდის მოყვანაში და ამასთან დაკავშირებით რამდენიმე რჩევა მისცა ინსტიტუტის მუშაკებს.

ნ. ა. ბულგანინმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა და ო. გროტეოლმა საუბრის დასასრულს ხელი მოაწერეს ინსტიტუტის საპატიო სტუმართა წიგნში.

შემდეგ საბჭოთა მთავრობის დელეგაცია და მისი თანმხლები პირები იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საწარმოში — ქიმიურ კომბინატ „ბუნა-ვერკეში“.

ნ. ა. ბულგანინს, ნ. ს. ხრუშჩოვსა და ო. გროტეევოლს საწარმოს მშრომელთა სახელით გულთბილად მიესალმნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ფროსტი და დირექციის წარმომადგენელი მოლი.

შემდეგ მშრომელებს სიტყვით მიმართა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც შეკრებილნი შეხვდნენ მქუხარე ტაშით და შეძახილებით გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის აღსანიშნავად. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა მქუხარე ტაში.

ქარხნის სამმართველოს შენობაში კომბინატის ხელმძღვანელებთან საუბრის დროს ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდნენ საწარმოს ცხოვრების სხვადასხვა მხარით. კომბინატის ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს „ბუნა-ვერკეს“ საწარმოო კოლექტივის შრომითს წარმატებებზე.

საუბრის დასასრულ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა კომბინატის მშრომელებს ახალი წარმატებანი უსურვეს მუშაობაში.

საღამოს საბჭოთა მთავრობის დელეგაცია და მისი თანმხლები პირები ბერლინს დაბრუნდნენ.

დარბაზობა სსრ კავშირის ბერლინის საელჩოში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

ბერლინი, 25 ივლისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინმა საბჭოთა კავშირის ბერლინის საელჩოში დარბაზობა გამართა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფება.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, აგრეთვე გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

გერმანიის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეევოლი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბოლცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ვ. შტოფი, ო. ნუშკე, ჰ. ლოხი და პ. შოლცი, დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრი ფ. ეზერტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები გ. მატერნი, კ. შირდევანი, ფ. ელსნერი, მინისტრები, სახალხო პალატის დეპუტატები და სხვა ოფიციალური პირები.

დარბაზობას დაესწრნენ აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, გერმანიის და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის სარდლობის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გ. მატერნმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

სტუმრებისათვის გაიმართა კონცერტი მოსკოველ მსახიობთა მონაწილეობით.

დარბაზობამ დიდი გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია პოლონეთში

ვარშავა, 25 ივლისი. (საკდესი). განაგრძობს რა მგზავრობას პოლონეთში, დღეს საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, ჩავიდა ნოვა გუტაში, სადაც დაათვალიერა ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი. შემდეგ მ. ა. სუსლოვმა და დელეგაციის წევრებმა იმგზავრეს სტალინოგრუდს და ნახეს სილეზიის სამრეწველო ოლქის ქალაქები — ხოჟუვი, ბიტომი, ზაბჟე, გლივიცე.

საღამოს საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ვარშავაში დაბრუნდა.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ვარშავიდან მოსკოვს გამოემგზავრა

ვარშავა, 26 ივლისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი და რომელიც პოლონეთში იმყოფებოდა აღორძინების დღის დღესასწაულზე, ვარშავიდან მოსკოვს გაემგზავრა.

პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვარშავის ცენტრალურ აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბოლესლავ ბერუტმა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ზაკადსკიმ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის წევრებმა და ვარშავის საზოგადოებრიობის მრავალმა წარმომადგენელმა.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პოლონეთში პ. კ. პონომარენკომ და საელჩოს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, აგრეთვე ვარშავაში აკრედიტებულმა მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მ. ა. სუსლოვმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა მიკროფონთან.

მ. ა. სუსლოვის სიტყვა

ამხანაგებო და მეგობრებო!

ვტოვებთ რა თქვენს სახელოვან დედაქალაქს — ვარშავას, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის სახელით გულითად მადლობას ვუძღვნი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებსა და მთავრობას ჩვენი გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის.

იმ დღეების განმავლობაში, რაც ჩვენ აქ დავყავით, ვნახეთ პოლონეთის მშრომელთა შესანიშნავი წარმატებანი სახელმწიფო მშენებლობის, სახალხო მეურნეობის, კულტურის და ხელოვნების განვითარების ყველა დარგში, წარმატებანი, რომელნიც თქვენ მოიპოვეთ მებრძოლი მარქსისტულ-ლენინური პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით. გულწრფელად შევხარით რა ამ მიღწევებს, ჩვენ გისურვებთ, ძვირფასო პოლონელო ძმებო, ახალ წარმატებებს სოციალისტური პოლონეთის მშენებლობაში.

პოლონეთში ჩვენი ყოფნის დღეებში — ვარშავაში, კრაკოვში, ნოვა გუტაში, პოზნანისა და სილეზიის საოევოდოებში — ყველგან ვხედავდით პოლონელი ხალხის გულწრფელი სიმპათიისა და ძმური მეგობრობის გამოვლინებას ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ხალხებისადმი.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებსაც პოლონელი ხალხი მიაჩნიათ თავის გულწრფელ და ერთგულ მეგობრად და ძმად.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა სამუდამოდ ურღვევ მეგობრობას!

წველადობის წლიური გეგმების შესრულება

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 ივლისისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა. ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 707 კილოგრამი რძე ნაცვლად 700-სა.

კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დამთავრებამდე თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიიღონ 200 კილოგრამი რძე.

• • •

სამტრედია, (საკ. კორ.). ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა განთქმულია მთელ რაიონში. აქ სანიმუშოდ არის დაყენებული პირუტყვის შენახვისა და მოვლა-პატრონობის საქმე.

წელს ფერმის (გამგე ე. ქართველიშვილი) მუშაკებმა განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ძროხების წველადობის გადიდებისათვის, რის შედეგად წველადობის წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველეს 1.010 ლიტრი რძე ნაცვლად 1.000 ლიტრისა. მეცხოველე კოლმეურნეთა ვალდებულება ითვალისწინებს წლის ბოლომდე თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა აიყვანონ 1.500 ლიტრამდე.

ტიბაანის მტს-მა ნაწვერალზე სიმინდის თესვის გეგმა შეასრულა

ტიბაანის მტს-მა ზონის კოლმეურნეობებში ნაწვერალზე სიმინდის თესვის გეგმა შეასრულა. დათესილია 919 ჰექტარი ნაცვლად 900-სა.

მიმდინარეობს ნაწვერალზე დათესილი სიმინდის კულტივაცია. უკვე დამუშავებულია 124 ჰექტარი.

სახელმწიფოსათვის პურის (სიმინდის გამოკლებით) ჩაბარების გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

(1955 წლის 25 ივლისის ცნობებით)

რაიონები	პროცენტობით	რაიონები	პროცენტობით
წითელწყაროს	147,5	გორის	54,5
სოღნაღის	112,6	თეთრი წყაროს	54,0
ყვარლის	111,2	ახმეტის	53,5
ბოლნისის	109,4	კასპის	26,1
გარდაბნის	109,1	ქარელის	17,2
მარნეულის	105,3	სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის	11,1
ლაგოდეხის	104,0	დმანისის	10,2
გარეჯის	102,4	ხაშურის	7,3
გურჯაანის	100,3	დუშეთის	7,0
კაჩრეთის	83,5	ახალციხის	4,8
თელავის	78,1	თიანეთის	0,8
საგარეჯოს	74,7		
მცხეთის	60,9		

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება ჯერ არ დაუწყიათ: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბორჯომისა და წალკის რაიონებს.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმების შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში

1955 წლის 20 ივლისისათვის.

ხორცი

წინ მიდიან		ჩამორჩებიან	
სამხრეთ ოსეთის ავტ ოლქი		ბოგდანოვკის	რაიონი
ახმეტის	რაიონი	თეთრი წყაროს	„
გურჯაანის	„	კაჩრეთის	„
დუშეთის	„	მარნეულის	„
თელავის	„	საგარეჯოს	„
თიანეთის	„	სოღნაღის	„
ლაგოდეხის	„	მცხეთის	„
ლანჩხუთის	„	ჩხოროწყუს	„
მახარაძის	„	ცხაკაიას	„
წალენჯიხის	„	წალკის	„
წულუკიძის	„		
ცხაკაიას	„		

რძე

წინ მიდიან		ჩამორჩებიან	
ბოგდანოვკის	რაიონი	ადიგენის	რაიონი
ბორჯომის	„	ხაშურის	„
გარდაბნის	„	აბაშის	„
გარეჯის	„	ზესტაფონის	„
გორის	„	ზუგდიდის	„
გურჯაანის	„	ლენტეხის	„
დმანისის	„	მესტიის	„
ლაგოდეხის	„	ფოთის	„
თეთრი წყაროს	„	ჩოხატაურის	„
მარნეულის	„	ცხაკაიას	„
საგარეჯოს	„	წულუკიძის	„
წითელწყაროს	„	ჭიათურის	„
		ხობის	„

კვერცხი

წინ მიდიან		ჩამორჩებიან	
ასპინძის	რაიონი	ფოთი	
ახალციხის	„	ახმეტის	რაიონი
წითელწყაროს	„	კაჩრეთის	„
ადიგენის	„	ყვარლის	„
ახალქალაქის	„	გეგეჭკორის	„
ბოგდანოვკის	„	ზესტაფონის	„
გარეჯის	„	თერჯოლის	„
თეთრი წყაროს	„	ჭიათურის	„
თიანეთის	„	ხობის	„
წალკის	„	თელავის	„
ცაგერის	„	მცხეთის	„
წყალტუბოს	„		

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისელ ნოვატორთა ბელადების რესპუბლიკის ეროვნული საწარმოს

მთელი ძალები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად!

მრეწველობის შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის

* * *

რა არის ჩვენთან ახალი!

საუბარი თბილისის საწარმოთა მთავარ ინჟინრებთან

მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაში მითითებულია, რომ მრეწველობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა განუხრელად იზრუნონ ტექნიკური პროგრესისათვის, უფრო სრულად გამოიყენონ არსებული საწარმოო რეზერვები, ხელი შეუწყონ მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაძლიერებას და ამის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებას.

რა გაკეთდა და რა კეთდება ამ მხრივ თბილისის საწარმოებში? ამის შესახებ მოგვითხრობენ თბილისის საწარმოთა მთავარი ინჟინრები.

მ. წეროძე — კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი.

— წარმატებით ინერგება ნრავალსაჭრისიან ჩარხებზე ლითონის დამუშავების პროგრესული ტექნოლოგიური ტექნოლოგია, რომელსაც ტბილანების სუფთად დამუშავებისათვის ვიყენებთ, სამმაგად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. გათვალისწინებული გვაქვს ამ მეთოდით დავამზადოთ 42 სახელწოდების ტბილანები. აქედან ნახევარზე მეტი უკვე ავითვისეთ.

დეტალების დატვიფრვის ახალი მეთოდი განახორციელა ტექნოლოგიურმა განყოფილებამ. თუ ეს პროცესი აქამდე ღია ტვიფრებში ხდებოდა, ახლა დახურულ ტვიფრებში წარმოებს. ეს ღონისძიება აუმჯობესებს ხარისხს და ლითონის გასავალს 10-15 პროცენტით ამცირებს.

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ გამოცდილებისამებრ საბურღავ ჩარხებზე მოეწყო უნივერსალური თვითმაცენტრირებელი ვაზნები; ეს მოწყობილობა უკვე დადგა 4 ჩარხზე. იგი 50 პროცენტით ამცირებს საბურღავ სამუშაოებზე დამხმარე დროს.

ლ. თარგამაძე — პლასტმასის ქარხნის მთავარი ინჟინერი.

— ჩვენთან ფართოდ დაინერგა ხრახნების დამზადების ახალი რაციონალური მეთოდი. წინათ ხრახნის დამზადება სახარატო ჩარხებზე ხდებოდა, რაც დიდ დროს, ენერგიას მოითხოვდა და ლითონის დიდ დანაკარგს იწვევდა ნარჩენების სახით. ქარხნის კოლექტივმა აითვისა და საკუთარი ძალებით დაამზადა ხრახნდამგორებელი ავტომატები, რომლებზეც დაგორებით კეთდება ხრახნი. ამ ავტომატებმა გაათავისუფლა 14 სახარატო ჩარხი, საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და ათობით ტონა ლითონის ეკონომია მოგვცა. დაგორებით ხრახნის დამზადება შრომის ნაყოფიერებას ზრდის 30-40-ჯერ.

წინათ პლასტიკური მასის აბების გახურება გვიხდებოდა თერმოკარადებში და არ ხერხდებოდა სრული, თანაბარი გახურება. ეს დიდად მოქმედებდა ხარისხზე. ათვისებულ და დანერგილ იქნა მაღალი სიხშირის დენის გენერატორები, რომლებიც დასაწყნეტად მომზადებულ აბებს მთელ სისქეზე ერთნაირად ახურებს, ამცირებს წუნს და ზრდის წარმადობას 30-35-ჯერ. ამჟამად ჩვენთან მრავალი ასეთი გენერატორი მუშაობს. თვითონ აბების დამზადებაც „ვიწრო ადგილს“ წარმოადგენდა ქარხანაში. კონსტრუქტორთა ჯგუფმა ითვისა და აამუშავა აბების დასამზადებელი სამი საროტაციო მანქანა. ქარხანამ საკუთარი ძალებით მოკლე დროში გაკეთა და ექსპლოატაციაში გაუშვა აგრეთვე ზამბარის დამხვევი ავტომატური ჩარხი.

თუ წინათ ადგილობრივი ნაწარმის ნარჩენები მთლიანად იყრებოდა, ქარხანამ დაამონტაჟა და ექსპლოატაციაში გაუშვა სპეციალური განყოფილება, სადაც ხდება ამ ნარჩენების დაფქვა ხელახლა გამოსაყენებლად. ეს წლიურად 50.000 მანეთ ეკონომიას გვაძლევს.

რაციონალიზატორთა წინადადებებით წარმოებაში დაინერგა ბევრი ტექნიკური სიახლე. მ. ბედენაშვილმა საბურღავ ჩარხზე მოაწყო ნამზადის მიმწოდებელი სპეციალური მოწყობილობა, რითაც წარმადობა 5-ჯერ გაზარდა და ქარხანას წელიწადში 40 ათასი მანეთი ეკონომია მისცა. რაციონალიზატორმა ა. კამსარაკანმა გამამხოლოებელ პლასტმასის ყუთებს შეუცვალა ხუფის კონსტრუქცია. მას 4 ხრახნი ჰქონდა, ახლა ხუფი მთლიანად იხრახნება გამამხოლოებელ ყუთზე. ამან მოგვცა 20.000 კაცდღის, 45 ტონა ფენოლპლასტის ფხვნილის, 7 ტონა ლითონის და 300.000 მანეთის ეკონომია.

ს. ამაშუკელი — მაუდკამეოლის კომბინატის მთავარი ინჟინერი.

— მანქანა-დანადგართა სრულად გამოყენებაში ხელს გვიშლიდა ტრანსფორმატორების არასაკმაო სიმძლავრე. ამ საქმის მოსაგვარებლად რაციონალიზატორებმა ლ. ფხაკაძემ და ვ. გოგიბერიძემ წინადადება შემოიტანეს ცენტრალური კომპენსაციის სისტემის გამოყენების შესახებ. ამ წინადადების განხორციელებამ მოგვცა 1.000 კილოვატ-ამპერი სარეზერვო სიმძლავრე, გაადიდა დენის გამოყენების კოეფიციენტი 95 პროცენტამდე და საშუალება მოგვცა აგვემუშავებინა ახალი მანქანები.

რაციონალიზატორთა ჯგუფმა ვ. პოლიშჩუკის ხელმძღვანელობით აითვისა და დაამზადა მრგვალი საკარხნი მანქანის დიდი წრის დისკო. ამ ნაწილის მასობრივი დამზადება კომბინატს საშუალებას მისცემს შეცვალოს ძველები, გაუმჯობესოს დაზგების წარმადობა და ამასთან, რაც მთავარია, გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

მეტი ნართის მისაღებად და დაზგის წარმადობის გასადიდებლად პერიოდულად მოქმედ სართავ მანქანებზე მოვაწყეთ სპეციალური მოწყობილობა, რამაც უზრუნველყო ფთილის ზეგეგმითი გამოშვება და შრომის ნაყოფიერების 5 პროცენტით გადიდება.

მეტად შრომატევად სამუშაოს წარმოადგენს მატყლის გადატანა სარეცხი მანქანიდან საშრობ მანქანაზე. წარმოებს ავტომატური მკვებავის მოწყობა, რაც მალე დამთავრდება. ეს დიდძალ მუშახელს გაათავისუფლებს. ბევრი საინტერესო წინადადება ინერგება კომბინატში, მაგრამ არასაკმაო ყურადღებისა და მზრუნველობის გამო მათი განხორციელება ზოგჯერ ჭიანურდება. მიღებულია გადამჭრელი ზომები რაციონალიზატორულ წინადადებათა სწრაფად დანერგვისა და წარმოების შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის.

გ. ფირაძე — მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის მთავარი ინჟინერი.

— დიდ ენერგიას, მაღალ სიზუსტეს მოითხოვს მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯისათვის დეტალების დამზადება. წინათ კომბინატში ამ დეტალებს ვაკეთებდით ხელით მონოლითური მასალისაგან. ახლა კი მათ ვაკეთებთ არა ხელით, არამედ ჰიდრავლიკური წნეხის საშუალებით, მერქნის ნარჩენებისაგან, რომლებსაც ამ წნეხით ვაფასენერებთ. ჰიდრავლიკური წნეხი აბსოლუტურად გლუვ ზედაპირს აძლევს ნამზადს, ამასთანავე შრომის ნაყოფიერებას ადიდებს 15 პროცენტამდე.

ქარხნის კოლექტივმა გააკეთა ახალი დაზგა, რომელიც ავტომატურად ხეხავს და აკრიალებს დეტალებს. თუ აქამდე მთელი სამუშაოების 80 პროცენტი ხელით სრულდებოდა, ამ დაზგამ შეცვალა იგი და 35 პროცენტით გაზარდა წარმადობა.

შრომატევად სამუშაოთა შემსუბუქებისა და წარმოების ავტომატიზაციის მიზნით გათვალისწინებულია დაინერგოს წარმოების კონვეიერული სისტემა უწინარეს ყოვლისა წიგნის კარადისა და ბუფეტის დასამზადებლად. კონვეიერი უკვე შეკვეთილია და კომბინატს მოკლე ხანში მიიღებს; მექანიზებული წესით იწარმოებს აგრეთვე დეტალების დაგრუნტვა. ამისათვის 26 კომისრის მანქანათმშენებელი ქარხანა კომბინატისათვის ამზადებს 15 ცალ გამკრიალებელ დისკოს.

— მანქანა-დანადგართა სრულად გამოყენებაში ხელს გვიშლიდა ტრანსფორმატორების არასაკმაო სიმძლავრე. ამ საქმის მოსაგვარებლად რაციონალიზატორებმა ლ. ფხაკაძემ და ვ. გოგიბერიძემ წინადადება შემოიტანეს ცენტრალური კომპენსაციის სისტემის გამოყენების შესახებ. ამ წინადადების განხორციელებამ მოგვცა 1.000 კილოვატ-ამპერი სარეზერვო სიმძლავრე, გაადიდა დენის გამოყენების კოეფიციენტი 95 პროცენტამდე და საშუალება მოგვცა აგვემუშავებინა ახალი მანქანები.

თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის მეორე საამქროში სამკერვალო კონვეიერში ჩართულია ახალი კონსტრუქციის ოთხსუბორტიანი მანქანა, რომელიც შექმნეს ფაბრიკის ნოვატორმა-ინჟინერებმა გ. გედევანიშვილმა და გ. კასპაროვმა. ეს მანქანა ბავშვის ფეხსაცმელს ქუსლს უკეთებს და წელიწადში 25 ათას მანეთ ეკონომიას აძლევს ფაბრიკას. **სურათზე:** მარჯვნივ — მოწინავე მუშა გ. ზავარაშვილი ახალ მანქანაზე მუშაობის დროს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მნიშვნელოვანი კონსტრუქციის შესახებ

წელს შეგუდექით დიდი მანქანათმშენებელი ქარხნებისათვის ე. წ. სამსხმელო კონვეიერების მასობრივად გამოშვებას. კონვეიერი მრავალი დეტალისაგან შედგება. ყველაზე მეტად გაგვიჭირდა ქარხანაში კონვეიერის თვლებისათვის შიგნითა და გარეთა ხუფების ჩამოსხმა, რაც ჩვეულებრივი ტექნოლოგიის მიხედვით თიხის ყალიბებში უნდა გაგვეკეთებინა.

თიხის ყალიბებში ამ პატარა ზომის დეტალების დაყალიბება იწვევდა მათი დამუშავების შრომატევადობის ზრდას, ლითონის (თხევადი თუჯის) დანაკარგს და ამასთან ხშირ წუნს. თვითეული ხუფის დამუშავება ქარხანას შედარებით ძვირი უჯდებოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სამსხმელო კონვეიერის თვითეულ ხეტიას 8 ცალი ასეთი ხუფი სჭირდება, მარტო ლითონის დანაკარგი ყოველწლიურად რამდენიმე ტონას აღემატებოდა.

ქარხანაში მომუშავე ტექნოლოგმა ლ. ალტუხოვმა სცადა ამ მცირე დეტალების ჩამოსახმელად და დასაყალიბებლად საკუთარი კონსტრუქციის კოკილების (ლითონის მუდმივი ტვიფრ-ყალიბების) გამოყენება. ცდამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. ალტუხოვის კონსტრუქციის კოკილებით დაყალიბებული დეტალები შემდგომ მხოლოდ მცირე მექანიკურ დამუშავებას საჭიროებენ. ერთი ცალი მზა დეტალი ახლა ქარხანას 42 კაპიკით ნაკლები უჯდება. ამასთან ამ დეტალების გამოშვებაზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება 45 პროცენტით გაიზარდა, 23 პროცენტით დაიკლო თხევადი თუჯის ხარჯმა და დეტალების დამუშავების შრომატევადობა შეტეცირდა 36 პროცენტით.

გამოანგარიშებულია, რომ ტექნოლოგ ალტუხოვის კონსტრუქციის კოკილების გამოყენება ქარხანას ყოველწლიურად 22.400 მანეთ ეკონომიას მისცემს.

ვ. ბერუჩაშვილი,
კალინინის სახელობის თბილისის მექანიკური ქარხნის დირექტორი.

პარტიული ორგანიზაცია და რაციონალიზატორები

თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც აღფრთოვანებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ენერგიულად იბრძვის ფაბრიკაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის. ამ მხრივ ცოტა როდი გააკეთეს ფაბრიკის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა. მრავალი ტექნიკური სიახლე, რაც მათ შეიტანეს ფეხსაცმლის მრეწველობის ტექნიკაში, უკვე დაინერგა ან ახლა ინერგება არა მარტო ჩვენთან, არამედ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ფეხსაცმლის დიდ ფაბრიკებშიც — ლენინგრადის „სკოროხოდში“, ფაბრიკა „პროლეტარსკაია პობედაში“, მოსკოვის ფაბრიკა „პარიზსკაია კომუნაში“ და ფეხსაცმლის მრავალ სხვა საწარმოში.

რაციონალიზატორულ და საგამმგონებლო მუშაობას ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია ბოლო ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. მეოთხე საამქროს ნაკადში ჩართული იყო ზიგ-ზაგის საკერავი მანქანა, რომელიც ღვედური გადაცემით მუშაობდა. გადაცემის ეს სისტემა მანქანას მოეშალა. საჭირო გახდა ან სამაგიერო მანქანის მოტანა ან მომლილი მანქანის აღდგენა. ეს საკითხი პარტიულმა ორგანიზაციამ და საფაბრიკო სამმართველოსთან არსებულმა გამომგონებლობის განყოფილებამ, რომელსაც ინჟინერ-მექანიკოსი გ. გედევანიშვილი ხელმძღვანელობს, დაუყოვნებლივ დააყენეს რაციონალიზატორების წინაშე.

არ გაუვლია დიდ დროს, რომ საამქროს მუშამ, მექანიკოსმა ა. ფეიქრიშვილმა შემოიტანა წინადადება აღნიშნული მანქანისათვის ღვედური გადაცემის ნაცვლად ტბილანური გადაცემის მორგების შესახებ. წინადადება მიიღეს დაუყოვნებლივ განახორციელეს და ახლა ზიგ-ზაგით საკერავი მანქანა კვლავ ჩართულია ნაკადში, შეუფერხებლად მუშაობს.

საფაბრიკო პარტიული ორგანიზაცია მთელ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, როგორც ამის შესახებ მითითებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაში, იქითკენ წარმართავს, რომ აამაღლოს კოლექტივის შრომითი აქტივობა, დარაზმოს იგი მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის მისაღწევად და პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად. ფაბრიკის წარმატებანი ამ მუშაობის შედეგიც არის. განვლილ 6 თვეში ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება 105,9 პროცენტით შეასრულა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.609.000 მანეთით მეტი პროდუქციის გამოშვებისა და გეგმის გადამეტებით თვითღირებულების 3,7 პროცენტით შემცირებასთან ერთად, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დავალება 0,5 პროცენტის გადამეტებით შეასრულა.

საწარმოო პროცესებისა და ცალკე ოპერაციების კომპლექსური მექანიზაცია შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ფაბრიკის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საქმიანობა ამ მიმართულებით წარვმართეთ.

ახლა, როგორც იტყვიან, მოდაში შემოვიდა სპორტული გადასაბნევი ბზინდიანი ფეხსაცმელი, რომელსაც მომხმარებელი დიდი ხალისით ეტანება, მაგრამ ამ ბზინდის გასაყრელი ტყავის „ენის“ დამზადება დიდ შრომას მოითხოვს. მას უნდა თანაბარი ინტერვალებით დასვრეტა, რისთვისაც თითო ნაკადზე ორი კვალიფიციური მუშა იყო საჭირო. დადგა საკითხი ამ მუშაო ოპერაციის მექანიზმით შესრულების შესახებ. მეორე საამქროს უფროსმა მექანიკოსმა ვ. სირაძემ წარმოადგინა ბზინდში გასაყრელი ფეხსაცმლის თასმის დასასვრეტი მანქანის საკუთარი კონსტრუქციის სქემა, რომელიც მოწონებულ იქნა; მანქანა მალე გაამზადეს, გამოსცადეს და წარმოებაშიც დანერგეს. ამ მანქანით ახლა ერთი კაცი 1,5 საათში აკეთებს იმას, რასაც წინათ ორი კაცი მთელი ცვლის განმავლობაში უნდებოდა.

მრავალი ასეთი რაციონალიზატორული გაუმჯობესება შეიტანეს ტექნიკაში ჩვენმა რაციონალიზატორებმა, მრავალი ახალი მექანიზმი შექმნეს ფაბრიკაში მომუშავე გამომგონებელთა წინადადებით ჩვენმა კონსტრუქტორებმა. მათთვის დიდად წამახალისებელია ის, რომ მათ მხარს უჭერს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თვალყურს ადევნებს რაციონალიზატორული წინადადების განხილვასა და დანერგვას, მუდამ მზად არის დაეხმაროს მუშა-გამომგონებლებს.

მაგრამ პარტიული ორგანიზაციის მუშაობას ნაკლიც აქვს. მთავარი ის არის, რომ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რაოდენობა ფაბრიკაში მეტად მცირეა, მუშათა საერთო რიცხვის 3 პროცენტს არ აღემატება. პარტიული ორგანიზაცია ახლა იმას ცდილობს, რომ ამრავლოს მათი რიგები, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში ჩაბას ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი.

ტ. კობიძე,
თბილისის ფეხსაცმლის №1 ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

ნოვატორები მოითხოვენ...

ლითონსაწრთობი მაღალი სიხშირის დენის დანადგარი ბევრ მანქანათმშენებელ, ჩარხმშენებელ და ლითონდასამუშავებელ საწარმოში აქვთ. მაგრამ ამ მექანიზმით შეიძლება ვაწრთოთ მხოლოდ პატარა ზომის, როგორც ლითონდამმუშავებლები ამბობენ, მცირეგაბარიტიანი ლითონის დეტალები. ასეთ დანადგარზე დეტალის წრთობას ცოტა დრო უნდა და თან დეტალი მაღალხარისხოვანი გამოდის, მისი ამორტიზაციის ვადა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ხელით ნაწრთობისა.

როგორ მოვახერხოთ, რომ ასეთ დანადგარზე ვაწრთოთ დიდი ზომის დეტალებიც, მაგალითად, ლოკომოტივისა და ვაგონების ლილვები? ლილვი ყოველი მანქანის ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები სამუშაო დეტალია. სწრაფ ამორტიზაციას (გაცვეთას) მანქანაში სწორედ ლილვი განიცდის და მის ყველაზე მაღალხარისხოვნად წრთობაში დაინტერესებული არიან მევაგონეები, მეორთქმავლეები, მეელმავლეები, თბომავლის მემანქანეები, საქსოვ მანქანებზე მომუშავე ფეიქრები, ავტომძღოლები და თითქმის ყველა დანიშნულების მანქანათა მშენებლები, რომლებიც ასეთი დიდი ზომის ლითონის დეტალების წრთობას ჯერჯერობით ისევ ხელით, სპეციალურად მოწყობილ თერმულ საამქროებში ახდენენ.

თბილისის ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანაში ამ სამუშაოს ხელით აღარ ასრულებენ. აქ უკვე განახორციელეს მოძრავ შემადგენლობათათვის ლილვების მაღალხარისხოვნად წრთობის მექანიზაცია და ამისათვის იყენებენ ინჟინერ გ. გლუნჩაძის სამარჯვს, რომელიც ადვილად შეიძლება მოვარგოთ მაღალი სიხშირის დენით მომუშავე დანადგარს და მისი საშუალებით ვაწრთოთ დიდი ზომის ლითონის დეტალებიც.

იმავე ქარხანაში ინჟინერმა გ. გუბსკიმ მოაწყო საკუთარი კონსტრუქციის ჰიდრავლიკური წნეხი, რომელსაც წარმატებით იყენებენ. ან წნეხის გამოყენებით და ამუშავებით დეტალების დაწნეხვაზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება 80 პროცენტით ამაღლდა, ლიკვიდირებულ იქნა წუნი და საწარმო ყოველწლიურად 30.000 მანეთზე მეტ ეკონომიას აღწევს.

იციან თუ არა რესპუბლიკის ლითონდასამუშავებელი მრეწველობის სხვა საწარმოებში ინჟინერ გ. გლუნჩაძის სამარჯვის ან ინჟინერ გ. გუბსკის კონსტრუქციის ჰიდრავლიკური წნეხის შესახებ? იციან თუ არა, როგორ გააუმჯობესეს ამ ქარხანაში ახალი ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენების საქმე, როგორ იყენებენ ელექტრომანქანების შიგნითა იზოლაციის გასასინჯ საიმპულსო დანადგარებს, იმავე მანქანათა ღუზის გამოსაცდელ აპარატებს, საკისართა დასაწნეხავ ჰიდრომექანიკურ წნეხებს?

თბილისის ავტომობილშემკეთებელ ქარხანაში ელექტროსაამქროს ოსტატმა ი. ზზარაშვილმა შექმნა ორიგინალური კონსტრუქციის ელექტროხელსაწყო, რომლითაც შეიძლება სწრაფად და მანქანიდან მოუხსნელად შევამოწმოთ საავტომობილო კონდენსატორის გამართულობა.

ამავე ქარხანაში მომუშავე ნოვატორმა მეთუნუქე ა. ბატურევიჩმა გააკეთა ავტომობილის რადიატორის სახურავის გასასწორებელი ხელსაწყო, რომელიც ადვილად გამოსაყენებელი და მეტად საჭიროა ავტომობილშემკეთებელ ყოველ სახელოსნოში. აქვე ნოვატორმა ზენკალმა მ. შინკინმა შექმნა ე. წ. კონდუქტორი — ხელსაწყო, რომლის საშუალებით გაადვილებულია დიფერენციალის ჯვარედინზე მაცენტრირებელი ნახვრეტების გაბურღვა, რაც ხელით მუშაობისას მაღალკვალიფიციური ოსტატის დიდ შრომას, დროს და დაკვირვებას მოითხოვს.

ასეთ გაუმჯობესებათა დანერგვა რამდენად გაუადვილებდა შრომას სხვა ავტომობილშემკეთებლებს ჩვენს რესპუბლიკაში!

პატარა ზომის ზამბარები საჭიროა მანქანათმშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობაში, სხვადასხვა დანიშნულების მრავალი საყოფაცხოვრებო ნივთის წარმოებაში. სარეცხის სამაგრებისათვის მთავარ და შრომატევად სამუშაოს ზამბარის ხელით დახვევა წარმოადგენს. თბილისელმა მანქანათმშენებლებმა ბ. თოთლაძემ და ლ. აივატარიანმა დააპროექტეს და თვითონვე გააკეთეს ავტომატურად მოქმედი პატარა მანქანა, რომელიც ზამბარის დასამზადებლად საჭირო ოპერაციებს ერთდროულად და სწრაფად ასრულებს — ეზიდება საზამბარე მავთულს, სათანადო ზომით ჭრის, ახვევს, უღუნავს ბოლოებს და მზა პროდუქციას ყრის იქვე მომაგრებულ ყუთში. ამ მანქანის აბუშავებით ზამბარის დამხვევთა შრომის ნაყოფიერება 70 პროცენტით ამაღლდა.

ლითონის კონსტრუქციების ქარხანაში ინჟინერმა მ. იავრიანმა გააკეთა კუთხოვანი რკინის საღუნავი დანადგარი, რომელმაც დიდი ცისტერნების სალატედ რკინის დაღუნვის შრომატევადი სამუშაოდან მაღალკვალიფიციური მუშების მთელი ბრიგადა გაათავისუფლა. თუ წინათ ეს ბრიგადა ცვლაში 5-6 ცალი კუთხოვანი რკინის სასალტედ დაღუნვას ძლივს ახერხებდა, იავრიანის დანადგარით ერთი კაცი ცვლაში 120 სალტეს აკეთებს. წინათ ცისტერნების გამოშვების გეგმას სწორედ ამ სალტეების გამოშვების დაგვიანება აფერხებდა. ახლა კი ქარხანა წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს.

თბილისის საწარმოთა ნოვატორები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ საჭიროა შეიქმნას ორგანიზაციული ცენტრი საწარმოო ინფორმაციის ურთიერთგაზიარებისათვის. ზოგჯერ ერთდროულად რამდენიმე საწარმოს რაციონალიზატორები ერთი და იმავე ტექნოლოგიური საკითხის გადასაწყვეტად მუშაობენ, მაშინ როცა სხვა საწარმოში ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი და რაციონალურად მოგვარებული აქვთ. ლოკომოტივშემკეთებლები ლილვების წრთობას ავტომატური ელექტროდანადგარით ახდენენ, მაშინ როცა ორთქმავალშემკეთებლები სათანადო სამარჯვის უქონლობის გამო ამ სამუშაოს ისევ ხელით ასრულებენ.

— უკვე მომწიფდა, — ამბობდნენ საუბარში ლოკომოტივშემკეთებელი ნოვატორები ვ. ბეჟუაშვილი, ფ. ხაბელაშვილი, ა. ხეთაგური, — თბილისში ტექნიკის სახლის მოწყობის საკითხი.

— უსათუოდ უნდა მოეწყოს თბილისში ტექნიკის სახლი, — ადასტურებენ მაგ აზრს ნოვატორი მანქანათმშენებლები, ფეიქრები, ჩარხმშენებლები, ლითონდამმუშავებლები. მათი აზრით ტექნიკის სახლს უნდა დაეკისროს ტექნიკურ სიახლეთა შესახებ საწარმოო ინფორმაციის შეგროვება, გავრცელება და მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

თბილისის — რესპუბლიკის მთავარი ინდუსტრიული ცენტრის — ნოვატორთა ამ სურვილის შესაბამისად საჭირო დასკვნა უნდა გააკეთოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ. ეს იქნება საუკეთესო პასუხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაზე, რომელიც მოგვიწოდებს მტკიცედ დავნერგოთ და გავავრცელოთ წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მიღწევები ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

დ. ლომთაძე.

მექანიზაციის გზით

ჩვენს ქარხანაში დიდი რაოდენობით მზადდება სკრეპერები, სახოფლო ჰიდროელექტროსადგურების მოწყობილობა. ეს მეტად შრომატევადი სამუშაოები იყო და ქარხნის რაციონალიზატორებმა განიზრახეს შეეცვალათ ამ მოწყობილობის დამუშავების ტექნოლოგია.

სკრეპერის ციცხვის მთავარ ნახევრადწრიულ რკინის ფურცელს ცენტრში უკეთდება 8 ნახვრეტი და ეს ფურცელი ხრახნების საშუალებით მაგრდება რკინის კონსტრუქციაზე. ერთი დღის განმავლობაში ეს ფურცელი ორ ადამიანს ხელით ეკეთებოდა, ანუ ერთ ადამიანზე 4 საათი ერეკებოდა. ეს ოპერაცია ძალიან ბევრ ენერგიას, ადამიანურ ძალას, ფულს ანაგებინებდა. ამ ოპერაციის ავტომატიზაციისა და ადამიანურ ძალის ეკონომიის მიზნით ინჟინერ-ტექნიკოსებმა ბ. ბაბაევმა, ბ. ბაბაევმა, ბ. ბაბაევმა,

მოწინავე მეცხოველეები ყველა რეზერვს იყენებენ

თვითეულ დედაღორზე 20 გოჭი

საზოგადოებრივ მეცხოველეობაში მეღორეობა სწრაფმხარდი და რენტაბელური დარგია. მოწინავეთა გამოცდილება გვიჩვენებს მის დიდ სარგებლიანობას. ამ დარგში მნიშვნელოვან მეშობას ეწევა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მუშაკებმა შეისწავლეს და პრაქტიკულად გამოიყენეს მოწინავე კოლმეურნე მეღორეების გამოცდილება, დანერგეს დედაღორების წელიწადში ორჯერ დაგოჭიანება, ამასთან აღწევენ ზოგი დედაღორის წელიწადში სამჯერ დაგოჭიანებას.

შარშან ფერმაში 48 დედაღორიდან თვითეულზე 18,5 გოჭი მიიღეს. კოლმეურნეობაში მსხვილი თეთრი ჯიშის წარმომტელთან აჯვარებენ ადგილობრივი ჯიშის ღორს. ამან გაადიდა გოჭების მოგების პროცენტი. აქ დედაღორებს არჩევენ ნაყოფიერების მიხედვით და მათ უქმნიან კვების საუკეთესო პირობებს. ფერმაში მიღებული ნამატი ხასიათდება კარგი თვისებებით, ადრე იზრდება, სიკვდილიანობა თითქმის არ არის.

საინტერესოა მეღორეობის ფერმის მუშაკის მ. კობახიძის მუშაობის გამოცდილება. იგი თერთმეტი წელია ფერმაში მუშაობს და კარგად დაეუფლა დედაღორებისა და გოჭების მოვლა-პატრონობის ზოოტექნიკურ წესებს. ამის შედეგად მან 1952 წელთან შედარებით 1954 წელს თვითეულ დედაღორზე 4,5 გოჭით მეტი მიიღო.

ჯანმრთელი გოჭების მიღებისათვის მ. კობახიძე დიდ ყურადღებას აქცევს ბაკე ღორების კვებას. ბაკეობის პირველ ხანებში აძლევს მაღალხარისხოვან წვნიან საკვებს. ზაფხულში დედაღორები საძოვარზე არიან. მოგებამდე ერთი თვით ადრე საკვებ რაციონში ამცირებს წვნიან საკვებს, ადიდებს კონცენტრატებს. დედაღორების ასეთი კვების შედეგად არ ხდება ცურების ნთება დაგოჭიანების შემდეგ.

— ზამთარში დედაღორების დაგოჭიანება, — განაცხადა მ. კობახიძემ, — ზაფხულთან შედარებით ხშირად ჭიანურდება. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ ზამთარში ცხოველები მეტ დროს სადგომებში ატარებენ. ზაფხულში კი საძოვარზე ყოველთვის სუფთა ჰაერზე არიან. იღებენ ვიტამინებით მდიდარ მწვანე საკვებს და, რაც მთავარია, ბევრს მოძრაობენ. ამიტომ მ. კობახიძეს წესად აქვს შემოღებული დედაღორები ზამთარში სისტემატურად გაასეირნოს.

ორი-სამი კვირის განმავლობაში გოჭებისათვის ძირითად საკვებს დედის რძე წარმოადგენს. ამ პერიოდში მ. კობახიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დედაღორის კვებას. ზაფხულში დედაღორს კონცენტრატებთან ერთად აძლევს მწვანე ბალახს, ზამთარში კი — ძირხვენებს. ძირხვენებს სუფთად რეცხავს, ჭრის და უმატებს ქატოს. საკვებში იყენებს აგრეთვე მარილს. არჩევს მრავალფეროვან საკვებს, ეს კი ჭამის მადას უღვივებს ღორებს. გოჭებს დაბადების პირველ დღეებში დღე-ღამეში 20-22-ჯერ მიუშვებს ხოლმე მოსაწოვად. ასეთი წესი ხელს უწყობს რძის მეტი რაოდენობით გამოყოფას.

დაბადებიდან 5-6 დღის შემდეგ გოჭებს აძლევენ თბილ წყალს, დახალულ მარცვლეულს (ქერი, შვრია) და მინერალური საკვების ნარევს. ამავე პერიოდში აძლევენ კოხცენტრირებულ საკვებს სალაფავის სახით, ორი თვის შემდეგ კი მოხარშულ კარტოფილს, ქატოსთან შერეულს. გოჭებს ძირხვენებს აძლევენ 15 დღის ასაკიდან. საძოვარზე გოჭებს უშვებენ დედებთან ერთად, ზამთრის კარგ ამინდში გაჰყავთ სასეირნოდ.

გამოცდილი მეღორე მ. კობახიძე გოჭებს დედას ამორებს ორი თვის ასაკში და აჯგუფებს ცოცხალი წონის მიხედვით. სუსტებს გამოჰყოფს ძლიერებისაგან. კვების დროს თვალყურს ადევნებს, რომელი გოჭი როგორ ჭამს საჭმელს. თუ ატყობს, რომ რომელიმე მათგანი ცუდად ან სულ არა ჭამს, ის მაშინვე გადაჰყავს ცალკე და უქმნის კვების შესაფერ პირობებს.

გოჭების ჭამის მადა დიდად არის დამოკიდებული კვების რეჟიმისა და ფერმის შინაგანაწესის დაცვაზე. ამიტომ მოწინავე მეღორე გოჭებს კვებავს ზუსტად დაწესებულ დროში. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკვების მომზადებას, კარგი კვებით გოჭი დღეღამეში 200 გრამამდე მატულობს წონაში. ერთი თვის კარგად მოვლილი გოჭი 6-7 კილოგრამს იწონის.

მეღორეობის ფერმაში ეს გამოცდილება ფართოდ ინერგება. ამის შედეგად წარმატებებს მიაღწიეს ფერმის მუშაკებმა მ. ფონჯაიძემ, ვ. ჯაფარიძემ და სხვებმა. ახლა ფერმის მუშაკებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. იბრძვიან იმისათვის, რომ თვითეულ დედაღორზე 20 გოჭი მიიღონ და მკვეთრად გაადიდონ ღორის ხორცის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე.

რ. დავითური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„გავაძლიერეთ ჩაის კრეფის ზემპეები“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდილ კორესპონდენციაში მხილებული იყო ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშის სტალინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, ახალსოფლის და სხვა კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებისა და კრეფის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ოვინჯალია რედაქციას ატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მხილებული ნაკლოვანებანი დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი აღნიშნულ კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებისა და კრეფის საქმეში გამომდინარეებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავების და ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების შეუსრულებლობისათვის სოფელ ჭკადუაშის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. დ. ნაჭყებიას დაედო პარტიული სასჯელი.

ა. ფერსმანი და პ. მელიქიშვილი

გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ ახლახან გამოსცა სტალინური პრემიის ლაურეატის ოლეგ პისარჟევსკის შრომა „ალექსანდრე ევგენის-ძე ფერსმანი“. ამ წიგნში გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის ა. ფერსმანის ყრმობის მეგობარს — მაშინ უკვე ნოვოროსსიის (ოდესის) უნივერსიტეტის პროფესორ პ. გ. მელიქიშვილს წიგნის ავტორმა მიუძღვნა შემდეგი გულთბილი სტრიქონები:

„...სიბავშვო კოლეგია გარკვევით აღარ გამოდგებოდა გასართობად. შეუმჩნევლად ახლოვდებოდა საათი, როცა იგი უნდა გადაქცეულიყო ახალგაზრდა მკვლევარის მინერალთა ნამდვილ საშეცნიერო კრებულად. ამ პროცესის დაჩქარებას ცდილობდნენ ფერსმანის ზეგობრებიც. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ალექსანდრე ევგენის-ძის ბიძის ამბანაგი, შემდეგში ცნობილი ქიმიკოსი ა. ი. კორბოვი და ნიჭიერ ადამიანთა მთელი პლეადის აღზრდილი ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილი. ამ საყოველთაოდ აღიარებულ და სამამულო მეცნიერების ისტორიაში შესულ მეცნიერს, კერძოდ, ბევრს უნდა უმადლოდეს ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი დიდი ტალანტი — ნ. დ. ზელინსკი“.

ფერსმანის მოგონებებში მელიქიშვილი წარმოგვიდგება როგორც ცოცხალი, მორცხვი, თავისი წყნარი და აუჩქარებელი მეტყველებით.

საშა ფერსმანი ჩვეულებრივ მოუთმენლად მოელოდა შაბათ საღამოს, როცა მათს სახლში თავს იყრიდნენ მეგობრები და მას შეეძლო, სადმე დივანის კუთხეში მიმჯდარს, მორიგებითა და პატივისცემით ესმინა ნამდვილი მკვლევარებისათვის, ბუნების მცდელთათვის. და ეს არაჩვეულებრივი ადამიანები ისხდნენ, საუბრობდნენ, სვამდნენ ჩაის, აუჩქარებლად იღებდნენ კოეზით შინდის მურაბას.

რა დღესასწაული იყო ჩემთვის, — იგონებდა ა. ე. ფერსმანი მელიქიშვილის შესახებ, — როცა ნებართვას მივიღებდი მენახა იგი თვით უნივერსიტეტში, გამევლო ძველი შენობის ბნელი დერეფნებით, შევსულიყავი მის ლაბორატორიაში და იქ სულგანაბულს მეცქირა, თუ როგორ ასხამს ეს მეცნიერი ერთი ჭურჭლიდან მეორეში რაღაც სითხეებს, აირის სანთურაზე ხარშავს რაღაცას ან ფრთხილად აწვეთებს დიდ ფინჯანში შეფერადებულ წვეთებს.

ერთი სტუმრობის დროს პ. გ. მელიქიშვილმა ბიჭუნას კოლექციაში შეიტანა წვლილი, რომელმაც დაჩრდილა ბევრი რამ. პირველი შეხედვით ეს იყო მუქი, თითქმის შავი ქვა, შემდნარი კიდეებით — თითქმის სუფთა ლითონური რკინა, გამჭვირვალე ყვითელი მინერალის — ოლივინის წვეთებით. რას შეეძლო აქ გაეკვირვებინა ოშვიათობათა შემგროვებლის გამოცდილი წარმოდგენა? არც ასეთ რკინას, „არც ასეთ ქანს დედამიწაზე ჩვენ არ ვიცნობთ“, — მოკლედ შენიშნა პროფესორმა და თავისი ნაჩუქარი გადასცა.

ა. ფერსმანმა ფართოდ გაახილა თვალები, უშნო კენჭი ყველაზე შორეული სტუმარი აღმოჩნდა მის კოლექციაში და ყველაზე უფრო უცნაური. დანამდვილებით იყო ცნობილი მხოლოდ მისი ციური წარმოშობა, დაწერილებითი ცნობები კი იმალებოდა ბუნდოვან ნისლში.

მელიქიშვილი ამბობდა: არასოდეს არ უნდა მიიღო საბე, რომ მეტი იცი, ვიდრე შენთვის ცნობილია, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაამაყოფილდე მხოლოდ იმით, რაც იცი...

ათჯერ და ასჯერ ამოუღია საშას შესანიშნავი საჩუქარი. იგი ისევ და ისევ ათვალიერებდა მას, ადარებდა მიწიერ ქვებს. შეცბუნებული, ის იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მეტად მცირე მონაცემები აქვს შედარებისათვის. გარეგანი სახე, შეფარდებითი წონა... სამწუხაროდ, ყველაფერი ეს საკმაო არ იყო, რომ სახელწოდება მიეცა მინერალებისათვის.

კიდევ მცირე ხანი, და ა. ე. ფერსმანს უნდა გადაედგა ის ნაბიჯი, რომელსაც მისგან მოელის მეცნიერი: მტკიცედ და ურყევად აერჩია მეცნიერის, დედამიწის მკვლევარის გზა.

იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც პატივისცემითა და სიყვარულით იგონებდა ა. ე. ფერსმანი, თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის ჩვენს სახელოვანს მეცნიერსა და მოღვაწეს—პ. მელიქიშვილს.

ე. ფულაძე.

ჟენევის თათბირმა დასაბამი მისცა ახალ ეტაპს საერთაშორისო ურთიერთობაში

„ჟენევის სულისკვეთება ახლა რეალობაა“

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). პარიზის კვირის გაზეთები გამოვიდა დიდი სათაურებით, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნულია ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის წარმატებით დამთავრება. სპეციალურ კორესპონდენტთა ცნობებთან, სტატიებთან, საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი დირექტივებისა და ოთხი მთავრობის მეთაურების საბოლოო გამოსვლების ტექსტებთან ერთად, მოთავსებულია ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვისა და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრების. აგრეთვე დ. ეიზენჰაუერის, ა. იდენის, ე. ფორის მრავალი ფოტოგრაფიული სურათი. გაზეთ „ეურნალ დიუ დიმანშის“ პირველ გვერდზე მოთავსებულია საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ფოტოსურათი წარწერით: „ნახვამდის, ბ-ნო ბულგანინ, და მადლობა“. ანალოგიური წარწერა აქვს პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ფოტოსურათს.

გაზეთი „ეურნალ დიუ დიმანში“ სარედაქციო სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თათბირი დამთავრდა „სრული შეთანხმებით, რომელიც კონკრეტულ სახეს აძლევს ნამდვილ დროებითს ზავს ცივ ომში“. მან საფუძველი ჩაუყარა საერთო მოწესრიგებას და „დაწესა პროცედურა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ძირითადი მოუწესრიგებელი პრობლემების გადასაჭრელად“.

„ეურნალ დიუ დიმანში“ აცხადებს, რომ თათბირის წარმატებით დამთავრება კეთილი ნებისა და „ჟენევის სულისკვეთების“ შედეგია, რომლებიც ყველა დელეგაციამ, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გამოიჩინა.

გაზეთ „ლუმანიტე-დიმანშის“ სპეციალური კორესპონდენტი პიერ კურტადი წერს: „ჟენევა დაკავშირებული იქნება მოგონებებთან იმ ეტაპთა შორის ყველაზე გამაცხნევებელ ეტაპზე, რაც ხალხებმა უკანასკნელ ათ წელიწადში გამოიარეს, „ჟენევის სულისკვეთება“ ახლა რეალობაა“.

მთავრობათა მეთაურების მიერ საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის მიცემულ დირექტივებს კურტადი აფასებს როგორც სადავო საერთაშორისო პრობლემების გადასაჭრელად და მშვიდობის განსამტკიცებლად „შემდგომი მუშაობის გეგმას“.

„მთავრობათა მეთაურების დირექტივები, — წერს კურტადი, — არ იძლევიან ამ პრობლემების გადაჭრას, ეს შეუძლებელი იყო და ამას არც მოელოდნენ. მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამიერიდან მინისტრებმა იციან რა მიმართულებით უნდა იმუშაონ ერთობლივად, აგრეთვე ის, რომ განსახილველად მიღებულია ყველა მხარის ძირითადი პროექტები. ეს წარმატება შესაძლებელი გახდა ურთიერთგაგებისადმი სრულიად ცხადი მისწრაფების შედეგად, მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის შედეგად“.

ავტორი დასაკვნის, რომ ჟენევის თათბირის შედეგად ხალხებს ომედი არ გაცრუებიათ, რადგან შეიქმნა ახალი ატმოსფერო.

ლონდონი, 24 ივლისი. (საკდესი). რეიტერის საგენტოს პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, პარიზის დიპლომატიური წრეები მიესალმებიან მთავრობათა მეთაურების დირექტივებს საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი, როგორც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე გადადგმულ ნაბიჯს. საფრანგეთის, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომ წრეებში ამბობენ, რომ ფრანგი მოღვაწეები თათბირისაგან მოელოდნენ „დეკლარაციას განზრახვათა შესახებ და მუშაობის პროგრამას“. სწორედ ეს მიღწეულ იქნა თათბირზე.

როგორც დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, ნათქვამია შემდეგ ცნობაში, ნ. ა. ბულგანინმა თავის საბოლოო განცხადებაში ომ ერის თათბირის დადებითი მნიშვნელობა აქვს დაძაბულობის შენელებისათვის. ეს ცხადყოფს, რომ საფრანგეთის ზოგიერთი პოლიტიკური წრის პესიმისტური მოდგომა თათბირისადმი გამართლებული არ იყო.

ჟენევის თათბირმა დასახა უთანხმოების დაძლევის კონკრეტული შესაძლებლობანი

რომი, 24 ივლისი. (საკდესი). იტალიის ყველა გაზეთი კეთილგანწყობილ კომენტარს უკეთებს ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგს.

გაზეთი „უნიტა“ წერს, რომ თათბირზე მიღწეულია დიდი წარმატება.

გაზეთმა „ავანტიმ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც იტალიის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი პიეტრო ნენი აცხადებს: „თათბირმა ერთბაშად ვერ მოსპო წინააღმდეგობანი და უთანხმოება... მაგრამ მან გვიჩვენა, რომ არის ამ უთანხმოებისა და წინააღმდეგობათა დაძლევის კონკრეტული შესაძლებლობანი... ჩვენთვის, ვისაც გვწამდა, რომ შესაძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობა, ჩვენთვის, ვისაც გვწამდა, რომ შესაძლებელია პირდაპირი მოლაპარაკება, ჩვენთვის, ვისაც ქმედითად არ მიაჩნდა მსოფლიოს და ევროპის გათიშვა, — განაგრძობს ნენი, — დღევანდელი დღე დიდი დღეა, რამდენადაც დაისახა თანაარსებობის კონკრეტული შესაძლებლობა“.

გაზეთი „პაეზე“ წერს: „ჟენევა არაჩვეულებრივი ექსპერიმენტია, რომლის რწმენაც ამაოდ როდი ჰქონდა მთელ მსოფლიოს. მან შექმნა ადამიანთა მეგობრობისა და სოლიდარობისათვის საჭირო წინაპირობები“.

გაზეთ „მესაჯეროს“ მოწინავე სტატიაში ნათქვამია: „ჟენევაში მიღწეული შეთანხმება მკვეთრი გამწვავების ათი წლის შემდეგ ორი სამყაროს ურთიერთობის დადებითი განვითარების პირველი კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთია... შეიძლება ვისურვოთ, რომ ოქტომბერში მიღწეულ იქნას შეთანხმება. ჯერჯერობით კი საჭიროა, რომ არ დაირღვეს ნათელი ატმოსფერო, რომელიც ახასიათებდა ოთხი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკებას თავიდანვე და რომელმაც შესაძლებელი გახადა წინასწარი შეთანხმების მიღწევა. რომ არ ყოფილიყო ნდობის ატმოსფერო, რომელიც დამყარდა ოთხი მონაწილის ურთიერთობაში, თათბირს წარმატება არ ექნებოდა, რაც სერიოზულ ზიანს მიაყენებდა ყველა ქვეყანას“.

ქრისტიან დემოკრატთა პარტიის ორგანო გაზეთი „პოპოლო“ აცხადებს, რომ ოთხივე დელეგაციამ გამოიჩინა „შემწყნარებლობა და თავშეკავება“.

გაზეთი „ჯორნალე დ'იტალია“ წერს: ჟენევის თათბირის დამთავრება შესაძლებლობას იძლევა მივიჩნიოთ, რომ „როცა არსებობს გულწრფელობა, ურთიერთგაგების ომედი და, მაშასადამე, მშვიდობის ომედი, განუხორციელებელი აღარ გვეჩვენება“.

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს რომაელი კორესპონდენტი იუწყება, იტალიის პოლიტიკურ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ჟენევის თათბირის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა ახალ ფორმას მიიღებს. პოლიტიკურ წრეებში შეგნებული აქვთ, რომ საჭირო იქნება კიდევ ბევრი დრო, რათა გამოინახოს უარესად სერიოზული პრობლემების გადაჭრა, რომლებიც დღემდე იწვევდნენ გათიშვას მსოფლიოში. მაგრამ ფიქრობენ, რომ რეალიზმი, რაც ორივე მხარემ გამოიჩინა, აგრეთვე მათი განზრახვა მიაღწიონ მიზანს, კეთილსასურველი მომავლის საწინდარია.

„ყველაზე ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე წარმატებითი ომისშემდგომი საერთაშორისო კონფერენცია“

ბელგრადი, 24 ივლისი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირს, გაზეთი „ბორბა“ წერს: „პირველი კეთილსასურველი სიმპტომი არის ატმოსფერო, რომელშიც ჟენევის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ამ თათბირზე ბევრი იყო მეტად კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ასახავდნენ მათი ავტორების სხვადასხვა აზრს და მოწმობდნენ, თუ რა აზრთა სხვადასხვაობა თიშავს მსოფლიოს. მიუხედავად ამისა, ამ წინადადებებს სათანადო ყურადღებით ხვდებოდნენ და ორივე მხარე ცდილობდა გამოენახა ამ წინადადებებში ის, რაც დააახლოებს და არა დაშორებს სხვადასხვა თვალსაზრისს.

ჟენევის თათბირი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ არის უფრო რეალისტური მიდგომა საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებისადმი და რომ უსაფუძვლოა მსოფლიოს დაყოფა ბლოკებად.

გაზეთი „პოლიტიკა“ წერს, რომ „დამთავრდა ყველაზე ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე წარმატებითი ომისშემდგომი საერთაშორისო კონფერენცია. ჟენევამ შეამცირა ომის საფრთხე“.

„ჟენევის თათბირის მონაწილეებმა იმედი არ გაუცრუეს კაცობრიობას“

ვარშავა, 24 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის გაზეთებმა პირველ გვერდზე მსხვილი სათაურებით დაბეჭდეს განცხადებანი, რომლებიც ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა გააკეთეს ჟენევის თათბირის საბოლოო სხდომაზე. აგრეთვე მათი დირექტივები საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი.

კომენტარს უკეთებს რა თათბირის შედეგებს, გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჟენევაში კარგი საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო პრობლემათა მოწესრიგებას. დირექტივები საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი, — წერს გაზეთი, — 10 წლის განმავლობაში პირველი შეთანხმებაა, რომელიც ეხება ჩვენი დროის მეტ წილ ძირითად პრობლემებს. ახლა საკითხია, რომ ჟენევაში დაწყებული დიდი საქმე ისეთივე გულწრფელობითა და ლოიალობით გაგრძელდეს.

გაზეთი „ეიტეე ვარშავი“ წერს: ჟენევის თათბირის მონაწილეებმა იმედი არ გაუცრუეს კაცობრიობას. მათ სრულ შეთანხმებას მიაღწიეს იმ დირექტივების შესახებ, რაც მისცეს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებმაც ერთობლივი დონისძიებანი უნდა წარმართონ ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორიც არის ევროპის უშიშროების საკითხი, გერმანიის საკითხი და განიარაღებისა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტის საკითხი. ჟენევა ხალხებს ახალი ურთიერთობის ამოსავალი პუნქტია...

გაზეთი „გლოს ბრაცი“ მოწინავე სტატიაში მომავლისათვის კარგის მომასწავებელს უწოდებს ჟენევის თათბირს. აზრთა გარდუვალი სხვადასხვაობის მიუხედავად, წერს გაზეთი, ერთი რამ უეჭველი: ოთხთა თათბირის მსვლელობამ დამაჯერებლად დადასტურა მშვიდობიანი თანაარსებობა.

კონსულტაცია

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს პროდუქტიული საზოგადოებრივი პირუტყვისათვის კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვების წარმოების გასაფართოებლად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები ყველა ღონისძიებას იღებენ, რათა საკმარისად უზრუნველყონ მეცხოველეობა საკვებით.

კოლმეურნეობები და მტს-ები ემზადებიან სიმინდის ტაროს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში და ღეროს ცალ-ცალკე ასაღებად და დასასილოსებლად. ამისათვის საჭიროა დაკონსერვებული ტაროების და დასილოსებული ღეროსა და ფოთლის კარგად შენახვა. ეს კი მოითხოვს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდეთ სათანადო ტევადობის კარგად მოწყობილი და ტექნიკური ნორმების დაცვით აგებული სასილოსე ნაგებობები.

წელს კოლმეურნეობებმა უნდა ჩადონ 700 ათას ტონაზე მეტი სილოსი, ანუ შარშან ფაქტიურად დამზადებულ სილოსზე ერთნორად მეტი. დასაკონსერვებელი მასის დიდ ნაწილს სიმინდი შეადგენს. რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის პერიოდში მის აღებამდე ცოტა დრო დარჩა. ამიტომ ახლა სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა ფართო ფრონტით უნდა გაჩაღდეს ყველა რაიონსა და კოლმეურნეობაში.

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა რესპუბლიკაში ნელი ტემპით მიმდინარეობს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის დაწესებულ ვადაზე — 15 აგვისტოსათვის დასამთავრებლად.

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა წელს დიდ სამუშაოებს ითვალისწინებს. საკმარისია ითქვას, რომ გეგმით გათვალისწინებული სასილოსე მასის მოსათავსებლად ამოღებულ უნდა იქნას 500 ათას კუბმეტრამდე მიწა, ამოყვანილ იქნას 200 ათასი კუბმეტრი კედელი, დამზადებულ და ადგილზე მიზიდულ იქნას სულ მცირე 93,2 ათასი კუბმეტრი საშენი ქვა, 51,8 ათასი კუბმეტრი ქვიშა, 82,8 ათასი კუბმეტრი თიხა და ა. შ. შესასრულებელია 40 მილიონ მანეთზე მეტი სამშენებლო სამუშაოები.

ასეთი მასშტაბის სამშენებლო სამუშაოთა შესრულება, რა თქმა უნდა, ადვილი არ არის. იგი მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და მათ დასაძლევად კოლმეურნეობებს, უწინარეს ყოვლისა ქალაქის სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების მხრივ ესაჭიროებათ სერიოზული დახმარება.

ხარკოველ და დნეპროპეტროვსკელ მშრომელთა მაგალითისამებრ ჩვენში სამშენებლო ორგანიზაციები და სამრეწველო საწარმოები კოლმეურნეობებს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში ფართო დახმარებას უწევენ. საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის, ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის, სასურსათო საქონლის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, წყალთა მეურნეობის სამინისტროების სამშენებლო ორგანიზაციებმა, კომბინატმა „საქნახშირმა“, ტრესტებმა „საქჰიდროენერგომშენმა“ და „ამიერკავკასიის მეტალურგმშენმა“, ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო ორგანიზაციებმა და სხვა მრავალმა საწარმომ იკისრეს საშეფო დახმარების წესით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის 15 აგვისტოსათვის ააშენონ 308,6 ათასი კუბმეტრი მოცულობის სხვადასხვა ტიპის სასილოსე ნაგებობა, რომლებიც დაახლოებით 200 ათას ტონა სილოსს დაიტევს. ეს საწარმოები და ორგანიზაციები პრაქტიკულად შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის ადგილისა და მოპიკეთების ტიპების შერჩევას. ამ წესის დაცვა საშუალებას იძლევა ფართოდ გამოვიყენოთ ადგილობრივი საშენი მასალები, მნიშვნელოვნად გავაიაფოთ მშენებლობა, უკეთ გამოვიყენოთ ნაგებობა და, რაც მთავარია, მაღალხარისხოვნად შევინახოთ სასილოსე მასა.

ცნობილია, რომ დასილოსება ნიშნავს წვნიანი საკვების იმგვარად დაწნეხვას, რომ მან მთელი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს თავისი კვებითი თვისებები. მაშასადამე, კოლმეურნეობებმა ისეთი სასილოსე ნაგებობანი უნდა ააშენონ, რომ ისინი უზრუნველყოფდნენ მაღალხარისხოვანი სილოსის მიღებას.

აუცილებელია სასილოსე ნაგებობა, როგორც წესი, მოთავსებული იყოს მეცხოველეობის ფერმასთან ახლოს და მას უკავშირდებოდეს საჰაერო-საბაგირო ან სხვა ტრანსპორტით. პირუტყვის დაავადების თავიდან აცილებისათვის სილოსის სატრანსპორტო ხაზი იზოლირებული უნდა იყოს ნაკელის გამოსაზიდავი გზისაგან. სასილოსე ნაგებობანი, სახელდობრ ტრანშეები და ორმოები, სასურველია განლაგებულ იქნან ერთ ან ორ რიგად საერთო სახურავის ქვეშ. სასილოსე ნაგებობისათვის შერჩეული ადგილი რელიეფის მიხედვით უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე პირუტყვის სადგომი.

სიმინდის ტაროს დასასილოსებლად ყველაზე უფრო მოხერხებულ და იაფ ნაგებობად მიჩნეულია სექციებად დაყოფილი მოპირკეთებული ტრანშეები და სასილოსე ორმოების ჯგუფი. ტრანშეის სექცია ან სასილოსე ორმო საშუალოდ უნდა იტევდეს 27-30 ტონა დასილოსებულ მასას (45-50 კუბმეტრი). ეს იმისათვის არის საჭირო, რომ შეიძლებოდეს ტრანშეის ყოველი სექციის ან ყოველი ორმოს ავსება და დატკეპნა ერთი ან ორი დღის განმავლობაში. ამით თავიდან იქნება აცილებული ტაროების მასის შესაძლო ჩახურება და მათი ყუთიანობის შემცირება.

სასილოსე ტრანშეებისა და ორმოების მოქმედი ტიპური პროექტებით უზრუნველყოფილია ყველა რაიონი და ის ორგანიზაციები, რომლებიც დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს ამ ნაგებობათა მშენებლობაში. ეს პროექტები ითვალისწინებენ სხვადასხვა მოსაპირკეთებელი მასალების გამოყენებას და საკმაოდ დიდი არჩევანის საშუალებას იძლევიან.

ამ პროექტებით სარგებლობა ყოველ მშენებელს შეუძლია. პროექტები მარტივია. საჭიროა მხოლოდ გავითვალისწინოთ შემდეგი: პროექტებში მოცემული ტრანშეებისა და ორმოების კონსტრუქციები რეკომენდებულია რბილ და სუსტ ყამირებში, როგორიც არის, მაგალითად, მსუბუქი თიხნარები, ქვიშამიწები და სხვ. თუ ყამირი, სადაც უნდა აშენდეს ნაგებობა, მკვრივია, მაგალითად, თიხნარია, სასილოსე ნაგებობის კონსტრუქცია ადგილზევე შეიძლება შემსუბუქდეს და გამარტივდეს.

ტრანშეისა და ორმოს ჩაღრმავება ყამირში ყოველ ცალკე შემთხვევაში სხვადასხვა წესით უნდა განხორციელდეს. ნაგებობის ფუძე ყამირქვეშა წყლის მაქსიმალურ დონეზე, სულ მცირე, ნახევარი მეტრით მაღლა უნდა იყოს, რათა წყალს არ შეეძლოს ნაგებობის ქვეშ შეტბორვა და იატაკის გაგლეჯა. ყამირქვეშა წყლების დაბალი დონის შემთხვევაში შესაძლებელია სასილოსე ნაგებობა მთლიანად მიწაში ჩავდგათ. ამ წყლების დონე თუ მაღალია, ნაგებობა მიზანშეწონილია ამოცდეს მიწის ზედაპირს. ამ შემთხვევაში ნაგებობას შემოაყრიან ქვაბულიდან ამოღებულ ან მოზიდულ მიწას. მიწაში ნახევრადჩაღრმავებული ნაგებობა უფრო იაფი ჯდება, რადგან საგრძნობლად ნაკლებ მიწის სამოშაოების შესრულებას მოითხოვს. მაშინაც კი, როცა ყამირქვეშა წყლის დონე დაბალია, სასილოსე ნაგებობის კედლები სასურველია მაინც ამოცდეს მიწის ზედაპირს. ეს თავიდან აგვაცილებს ზედაპირული წყლების ნაგებობაში მოხვედრის შესაძლებლობას. ამავე მიზნით რეკომენდებულია სასილოსე ტრანშეას ან ორმოს ირგვლივ მოკირწყვლა ან მობეტონება.

მოსაპირკეთებელ მასალად შეიძლება გამოვიყენოთ ქვა, აგური, ყორექვაბეტონი, რკინაბეტონი, ბეტონის მოსაპირკეთებელი ფილები, ხე-ტყე და სხვა მტკიცე და ყინვაგამძლე მასალა. მოსაპირკეთებელ მასალად რეკომენდებული არ არის ცუდად გამომწვარი აგურის, წიდაბეტონის და სილიკატური აგურის გამოყენება, რადგან ტენიანობის პირობებში ასეთი მასალისაგან

ნერუს განცხადება

დელი, 25 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთები „ჰინდუსტან ტაიმსი“ და „ტაიმს ოფ ინდია“ იუწყებიან, გუშინ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ გამოვიდა პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე და განაცხადა, რომ ოთხი საელჩოწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი წარმატებითი იყო, რამდენადაც მან ერთმანეთს დაუახლოვა თათბირის მონაწილეთა თვალსაზრისები. იგი აგრეთვე წარმატებითი იყო იმ ატმოსფეროს შექმნის საქმეში, რომელიც ქვეყნებს, რომლებიც დღემდე ერთმანეთს უპირდაპირდებოდნენ, შეეძლოთ მოლაპარაკება ეწარმოებინათ მეგობრული სულისკვეთებით.

ეს არის, ხაზგასმით აღნიშნა ნერუმ, თათბირის შედეგების დიდი მნიშვნელობა. კარგია, თქვა მან, რომ საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს იმის ბედნიერი მოასწავებელია, რომ ჟენევაში დამყარებული კონტაქტი განვითარდება.

შეეხო რა აზიის ქვეყნების პრობლემებს, ნერუმ სურვილი გამოთქვა ამ პრობლემების განსახილველად მოწვეულ იქნას ცალკე თათბირი. მაგრამ სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ მას სურს დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ასეთი თათბირი. იგი შეიძლება მოწვეულ იქნას მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მომზადდება მისი ნიადაგი. თუ დაინტერესებული სახელმწიფოები განიხილავენ ფორმოზისა და ინდოჩინეთის საკითხებს, აღნიშნა მან, ეს მნიშვნელოვნად შეანელებს საერთაშორისო დაძაბულობას. „ასეთი თათბირი ჟენევის ნიმუშისამებრ, — განაცხადა ნერუმ, — სასარგებლო იქნებოდა არა მარტო აზიისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც“.

ნერუმ თავის განცხადებაში კვლავ ხაზგასმით აღნიშნა ინდოეთის სურვილი, რომ მშვიდობიანი გზით გადაჭრას გოას საკითხი.

თავის გამოსვლაში ნერუმ სხდომას გაუზიარა აგრეთვე შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში მგზავრობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრ ნერუს განცხადება გოას საკითხზე

დელი, 25 ივლისი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ პარლამენტში გააკეთა განცხადება გოაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. იგი შეეხო გოას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მოძრაობა გოას ხალხის მოძრაობაა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, თქვა ნერუმ, რომ ამ უკანასკნელ წელს პორტუგალიის ხელისუფლებამ დააპატიმრეს გოას 2.500 მცხოვრები, რომელთაგან 450 კაცი ჯერ კიდევ პატიმრობაშია.

შემდეგ თავის განცხადებაში ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის მთავრობა ცდილობს გოას საკითხი გადაჭრას მშვიდობიანი გზით და, შეძლებისდაგვარად პორტუგალიის მთავრობასთან მოლაპარაკების გზით, მაგრამ პორტუგალიის ხელისუფლებამ ამ საკითხის განხილვაც კი არ მოისურვეს.

ამის გამო ინდოეთის მთავრობამ გადაწყვიტა შემოტანილს წინადადება, რათა მომდინარე წლის 8 აგვისტოდან დაიხუროს პორტუგალიის დიპლომატიური მისია დელში და შესაბამისი ნოტა გაუგზავნა პორტუგალიის საქმეთა რწმუნებულს ინდოეთში.

ნერუმ აღნიშნა, რომ ეჭვი არ არის გოა ინდოეთის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილია და აუცილებლად გახდება ინდოეთის კავშირის ნაწილი, შეინარჩუნებს რა თავის კულტურულ და სხვა ინტერესებს ხალხის სურვილის შესაბამისად. ინდოეთის მთავრობას, თქვა ნერუმ, იმედი აქვს, რომ პორტუგალიის მთავრობა გადასინჯავს თავის პოლიტიკას და კეთილსასურველ პასუხს გასცემს წინადადებაზე მოლაპარაკების მოწყობის შესახებ.

ა. ი. მიკოიანმა მიიღო ლონდონის ლორდ-მერი სერ ს. ჰოვარდი

25 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა მიიღო ლონდონის ლორდ-მერი სერ სეიმურ ჰოვარდი, რომელიც მოსკოვში იმყოფება მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მოწვევით, და მასთან ერთად ჩამოსული პირველი ესკვაირი უილიამ ტ. ბოსტონი.

საუბარში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა. (საკდესი).

ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენელთა წერილი სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებისადმი

ხანოი, 25 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს:

50 ათასმა კაცმა, რომლებიც ხანოიში შეიკრიბნენ 23 ივლისს, რათა მისალმებოდნენ პრეზიდენტ ხო ში მინს, რომელიც საბჭოთა კავშირში, ჩინეთსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მგზავრობიდან დაბრუნდა, ამ სამი ქვეყნის მთავრობებს წერილი გაუგზავნა.

წერილში ნათქვამია:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას.

ჩვენ, 50 ათასზე მეტი კაცი, რომლებიც მთელი ვიეტნამელი ხალხის სხვადასხვა ფენას წარმოვადგენთ და შევიკრიბეთ ხანოიში, მეტად მოხარული ვართ მივესალმოთ პრეზიდენტ ხო ში მინსა და ჩვენი მთავრობის დელეგაციას, რომელნიც ჩვენს დედაქალაქში დაბრუნდნენ დიდ მოძმე ქვეყნებში ერთი თვის მგზავრობის შემდეგ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინისა და მთავრობის დელეგაციის მოხსენებათა შემდეგ ჩვენ უფრო ნათლად გავიგეთ, ვიდრე ოდესმე, თუ რა განსაკუთრებულ გულთბილ მეგობრობას იჩენენ ვიეტნამელი ხალხისადმი საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სხვა მოძმე ქვეყნების ხალხები. ჩვენ მეტად აღფრთოვანებული ვართ საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა და ხალხთა დიდსულოვანი დახმარებით და ვალდებულებას ვკისრულობთ უფრო მჭიდროდ დავიჭიროთ ჩვენი რიგები, გავადიდოთ წარმოება და დავიცვათ ეკონომია, გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მშვიდობა, მივაღწიოთ ერთიანობას და უზრუნველვყოთ ჩვენი სამშობლოს სრული დამოუკიდებლობა და დემოკრატიული განვითარება.

დემოკრატიული და სოციალისტური ბლოკის ქვეყნების ხალხთა აქტიური მხარდაჭერით, აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მოწონებით და მხარდაჭერით ვიეტნამელი ხალხი, ეჭვი არ არის, მოიპოვებს გამარჯვებას თავის სამართლიან ბრძოლაში.

გაუმარჯოს ვიეტნამ-საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობას!

გაუმარჯოს დემოკრატიული და სოციალისტური ბლოკის ხალხთა მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

წერილს ხელს აწერს მასობრივი მიტინგის პრეზიდიუმი.

ჯოუ ენ-ლაიმ დარბაზობა გამართა მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მონაწილეთა პატივსაცემად

პეკინი, 25 ივლისი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ დარბაზობა გამართა უცხოეთის იმ დელეგაციების პატივსაცემად, რომლებიც მშვიდობის ჰელსინკის მსოფლიო ასამბლეაში მონაწილეობდნენ და ჩინეთში ჩამოვიდნენ ჩინეთის მშვიდობის დაცვის სახალხო კომიტეტის მოწვევით.

დარბაზობაზე იყვნენ არაბთა ქვეყნების, ლათინური ამერიკის, კანადის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების დელეგაციების წევრები, აგრეთვე ჩინეთის მშვიდობის დაცვის სახალხო კომიტეტისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერები, რელიგიური წრეებისა და სტუდენტების წარმომადგენლები, ჩინელი და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

თეთრი სახლის განცხადება

ვაშინგტონი, 25 ივლისი. (საკდესი). 25 ივლისს გაიმართა ეიზენჰაუერისა და დალესის თათბირი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ლიდერებთან. თათბირის შემდეგ თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებზე ჰეგერტიმ კორესპონდენტებს განუცხადა: „პრეზიდენტმა და სახელმწიფო მდივანმა კონგრესის ორივე პარტიის ხელმძღვანელებთან თათბირზე გააკეთეს ინფორმაცია ჟენევის თათბირზე მოლაპარაკების შესახებ. პრეზიდენტმა განუცხადა კონგრესის ხელმძღვანელებს, რომ ჟენევაში არ ყოფილა დადებული რაიმე საიდუმლო შეთანხმება და არ ყოფილა პარაფირებული რაიმე კონფიდენციალური დოკუმენტი. პრეზიდენტმა რწმენა გამოთქვა, რომ თათბირის ყურადსაღები ნიშანი იყო საბჭოთა დელეგაციის აშკარა გულწრფელი სურვილი — მომავალში მსოფლიო პრობლემები განიხილონ მეგობრობისა და იმის ვითარებაში, რომ მზად იყონ ერთად გამართონ სხდომები“ უთანხმოების განსახილველად. პრეზიდენტს, განაცხადა ჰეგერტიმ, მიაჩნია ეს, „რა თქმა უნდა, დამაიმედებელ მოვლენად“, მაგრამ ეს „თავისთავად არ გვაძლევს საფუძველს მეტად თუ ნაკლებად შევანელოთ უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის ღონისძიებანი, რომლებსაც ახლა ვახორციელებთ ჩვენ და ჩვენი მოკავშირეები“.

საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

აიოვა-ფოლსი, 26 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის წევრები ორ ჯგუფად გაიყვნენ და 23-24 ივლისი გაატარეს ქალაქებში აიოვა-ფოლსა და ჯეფერსონში. დელეგაციის წევრებმა, რომლებმაც აიოვა-ფოლსი ნახეს, გაეცნენ იქ კომბინირებული საკვების დამამზადებელ ქარხანას, რომელიც უდიდესია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეორე ჯგუფმა ჯეფერსონში ინახულა დიდი ფერმა, რომელსაც მოჰყავს სიმინდის ჰიბრიდული თესლი.

ფერმერთა მიწვევით საბჭოთა დელეგაციის წევრების უმრავლესობამ შაბათის საღამო და კვირა დღის მეტი ნაწილი გაატარა ადგილობრივი ფერმერების სახლებში. საბჭოთა დელეგაციის წევრები შეხვდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ და პასუხი გასცეს მათს მრავალ კითხვაზე სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის მუშაკთა ცხოვრების შესახებ. 24 ივლისს საღამოს დელეგაციის მეთაურმა ვ. მაცკევიჩმა დარბაზობა გამართა აიოვას შტატის კოლეჯის მეცნიერთა და ქალაქ ეიმსის მახლობლად მდებარე იმ ფერმების მფლობელთა პატივსაცემად, რომლებიც დელეგაციამ დაათვალიერა.

24 ივლისს საღამოს დელეგაცია გაემგზავრა აიოვას შტატის ქალაქ ჰამბოლდტში.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 26 ივლისი. (საკდესი). 25 ივლისს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა ი. ა. ბენედიქტოვმა და სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა საპასუხო სადილი გამართეს ინგლისის მიწათმოქმედების, მეთევზეობისა და სურსათის მინისტრის დ. ჰიტკოტ-ემორის პატივსაცემად. ინგლისის მხრივ სადილზე იყვნენ: ჰიტკოტ-ემორი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ანტონი ნატინგი, მიწათმოქმედების, მეთევზეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე ლორდი ოლდვინი, სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი სტედმენი, სამინისტროს მთავარი მრჩეველი პროფესორი როუ და სხვები.

ი. ა. ბენედიქტოვმა მადლობა გადაუხადა ჰიტკოტ-ემორის იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც საბჭოთა დელეგაციას მოუწყეს, და აღნიშნა, რომ ინგლისის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისას ასეთსავე გულთბილ მიღებას შეხვდებიან.

საპასუხო სიტყვაში ჰიტკოტ-ემორიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგლისის ყოველი კუთხიდან მოსული ცნობების მიხედვით, საბჭოთა სპეციალისტებმა ყველგან დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს სოფლის მეურნეობის პრობლემების ღრმა ცოდნით. აღნიშნა რა, რომ ასეთი დელეგაციების გაცვლა ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცებას, ჰიტკოტ-ემორიმ იმედი გამოთქვა, რომ სოფლის მეურნეობის საბჭოთა სპეციალისტები დაათვალიერებენ ინგლისის მომავალი წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

აფეთქება ამერიკის აეროდრომზე დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 26 ივლისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გუშინ დასავლეთ გერმანიაში გრისჰეიმის აეროდრომზე დარნშტადტის ახლოს მოხდა ძლიერი აფეთქება ამერიკის მე-7 არმიის ბენზინსაცავში. აფეთქების შედეგად მოსპობილია 800 ათასი ლიტრი საწვავი. მსხვერპლთა შესახებ არაფერს იუწყებიან.

სურათზე: თბილისის ბეჭდვითი ხიტყვის კომბინატის საამკინძაო საამქროში. მოწინავე მუშები გ. მიმინოშვილი (წინა პლანზე მარჯვნივ) და თ. მარგიშვილი (მარცხნივ) ახარისხებენ სასკოლო საჩელმძღვანელოებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თბილისიდან გაემგზავრა ინდოეთის მედიცინის მუშაკთა დელეგაცია

ორ დღეს იყო თბილისში ინდოეთის მედიცინის მუშაკთა დელეგაცია ბომბეის კიბოს დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ვასანტ რამჯა კანოლკარის მეთაურობით.

ინდოეთის მედიცინის მოღვაწენი დიდი ინტერესით ეცნობოდნენ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმის მდგომარეობას საქართველოში. მათ დაათვალიერეს ქალაქის პირველი საავადმყოფო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დაცვის ინსტიტუტი, ესაუბრნენ ექიმებს, მეცნიერებს.

დელეგაციის წევრები მიიღო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დ. გ. მამამთავარშვილმა. სტუმრებმა მისცეს კითხვები რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის განვითარების, ექიმთა სპეციალიზაციისა და დახელოვნების, პროფილაქტიკური მუშაობის შესახებ, რომელსაც მედიცინის ორგანოები ახორციელებენ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს მოღვაწეობის შესახებ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სტუმრების პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ თბილისის სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი. დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

გუშინ, 26 ივლისს, ინდოეთის მედიცინის მუშაკთა დელეგაცია გაფრინდა ტაშკენტს. აეროდრომზე სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეებმა ს. ლ. ქურციკაშვილმა, ლ. ზ. გოგოლაურმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ნ. ვ. ანთელავამ და სხვებმა. (საკდესი).

საბჭოთა და პოლონელი მოჭადრაკეების შეხვედრა

ვარშავა, 24 ივლისი. (საკდესი). ლოძში დაიწყო საბჭოთა და პოლონელი მოჭადრაკეების ნახევარფინალური შეჯიბრება ევროპის გუნდურ პირველობაზე. გუშინ პირველ ტურში 10 პარტიიდან მხოლოდ 5 დამთავრდა. ტიმანოვმა ყაიმით დამთავრა პარტია გავლაკოვსკისთან, ფლორმა მოუგო დეოფინსკის, ბონდარევსკიმ — გრომლეკს, კორჩნოიმ — დუდს, ვასიუკოვმა — პლატერს.

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გამარჯვება

მოსკოვში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება კალათბურთში სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. ჩემპიონობისათვის მებრძოლთა რიგებში იყვნენ მოსკოვის, თბილისის, ტალინის, ლენინგრადის, რიგის და სხვა ქალაქების კალათბურთელთა კოლექტივები.

ძლიერად ჩაატარა მატჩები მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდმა, რომელმაც უკანასკნელ შეჯიბრებაში დამარცხა ლენინგრადელი კალათბურთელები 78:30 და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟთა გუნდების ასპარეზობამ. აქ პირველი ადგილის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ მოსკოვის, თბილისისა და ტალინის გუნდები. თბილისელებმა თამაშის მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს, დამარცხეს მოწინააღმდეგეები და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ.

სსრ კავშირის თასზე

25 ივლისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის 1955 წლის თასის გათამაშების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ კიევის ოფიცერთა საოლქო სახლისა და თბილისის ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლის გუნდები. კიეველებმა მოიგეს შეჯიბრება ანგარიშით 4:2.

სტალინგრადი. 25 ივლისი. აქ შედგა მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და სტალინგრადის „ტორპედოს“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 1:0.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 28 და 29 ივლისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა. სუსტი ქარი. ტემპერატურა დღლობ რაიონებში ღამით 16-21, დღისით 25-30 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 13-18, დღისით 19-24 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი უმეტესად საღამოს და ღამის საათებში. დასავლეთის სუსტი, მტკვრის ხეობაში დროგამოშვებით ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 16-21, დღისით 27-32 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 11-16, დღისით 19-24 გრადუსი.

რედაქტორი ნ. ჯაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1955-56 სასწავლო წლისათვის ქართულ და აზერბაიჯანულ სექტორზე. ტექნიკუმი ამზადებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს უმცროსი აგრონომის კვალიფიკაციით მემინდვრეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის განხრით. სწავლის ხანგრძლივობა პირველ კურსზე შემსვლელთათვის 4 წელია, ხოლო მესამე კურსზე შემსვლელთათვის — 2 წელი. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი (1946 წლამდე 7 კლასი).

მემინდვრეობის პროფილის I კურსზე მიღება იწარმოებს მხოლოდ აზერბაიჯანული სექტორზე. უგამოცდოდ მიიღებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი ნიშნებ „5“-ით, ხოლო დანარჩენებმა გამოცდები უნდა ჩაბარონ შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი), აზერბაიჯანულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი).

ქართული სექტორის მემინდვრეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის განხრით მესამე კურსზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონენი, რომლებმაც გამოცდები უნდა ჩაბარონ შემდეგ საგნებში: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი).

განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა, დაბადების მოწმობის ასლი, ნოტარიუსის დამოწმებული, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი 3×4 სმ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (მხოლოდ სამხედრო ვალდებულთათვის).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ხოლო სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. ყველა ჩარიცხული მოსწავლე უზრუნველყოფილ იქნება ბინით, სტიპენდიით და სასადილოთი.

მისამართი: დაბა ბოლნისი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, საკაძის ქ. № 5.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1955-56 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სუბტროპიკული კულტურების სელექცია — 1,
2. დეკორაციული მებაღეობა . . . . . — 1,
3. ზოგადი მიწათმოქმედება . . . . . — 1,
4. ელექტროტექნიკა და რადიოტექნიკის საფუძვლები . . . . — 1,
5. ელძრავები და ელექტროენერგიის გამოყენება სოფლის მეურნეობაში . . — 1,
6. მეტეოროლოგია . . . . . — 1,
7. ფიზიკა (აგროფიზიკის განხრით) . . . . . — 1,
8. ლითონნების ტექნოლოგია . . . . . — 1.

ასპირანტურის კონკურსში დაშვებულ იქნებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არაუმეტეს 40 წლის ასაკისა, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული აქვთ ორჩეულ სპეციალობაში და ამავე დროს აქვთ სპეციალობაში მუშაობის 3 წლის სტაჟი.

ასპირანტურაში შემსვლელი გამოცდებს აბარებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ საგანში, რუსულ ენასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი სრულიად: ნოტარიულად შემოწმებული დიპლომის პირი, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, დახასიათება მუშაობის ადგილიდან სტაჟის ჩვენებით, ავტობიოგრაფია. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების სრულიად, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებელი დამთავრეს, უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია, მეცნიერული შრომების სია, მეცნიერული შრომა ან რეფერატი სპეციალურ საგანში და ორი ფოტოსურათი.

განცხადებები მიიღება ა. წ. 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 5-დან 15 სექტემბრამდე.

მისამართი: ქუთაისი, 1905 წლის რევოლუციის ქ. № 2.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს. მ. კიროვის სახელობის ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში 1955-56 სასწავლო წლისათვის მიღების პირობები.

ტექნიკუმი ამზადებს უმცროს მეხილე-მებოსტნე და მემინდვრე აგრონომებს. სწავლის ხანგრძლივობა მეხილეობა-მებოსტნეობის პროფილის მესამე კურსზე ორნახევარი წელია, მემინდვრეობის პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის — 4 წელი.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე. მემინდვრეობის პირველ კურსზე მიიღებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის სრული კურსი.

სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი მიიღებიან მეხილე-მებოსტნეობის პროფილის მესამე კურსზე.

ტექნიკუმში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლის კურსი დამთავრეს ფრიადზე და სრული საშუალო სკოლის კურსი ვერცხლის ან ოქროს მედლით.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები გამოცდებს აბარებენ არასრული საშუალო სკოლის პროგრამით:

ა) სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), გ) ქართულ ენაში (ზეპირი), დ) მათემატიკაში (ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი — მესამე კურსზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით:

ა) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბ) ქართულ ენაში (ზეპირი), გ) მათემატიკაში (ზეპირი).

ტექნიკუმის დირექტორის სახელზე შემოტანილ განცხადებას თან უნდა დაერთოს: ა) განათლების მოწმობა (დედანი), ბ) დაბადების მოწმობა (ნოტარიუსის მიერ შემოწმებული პირი), გ) ავტობიოგრაფია, დ) სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ.), ე) სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ვ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან), ზ) სამხედრო ვალდებულთათვის სამხედრო ბილეთი (ადგენს პირადად).

განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. ტექნიკუმში ჩარიცხულთ დაენიშნებათ სტიპენდია. ტექნიკუმთან არსებობს სასადილო.

მისამართი: ლაგოდეხი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: ფორტეპიანო 2, მუსიკის ისტორია 1, მუსიკის თეორია 1, ხალხური მუსიკის შემოქმედება 1.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არაუმეტეს 40 წლისა და ვისაც აქვს სპეციალობაში მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა.

ის პირები, რომლებმაც კონსერვატორია დაამთავრეს გასულ სასწავლო წელს, საკონკურსო გამოცდებზე დაშვებულ იქნებიან მხოლოდ კონსერვატორიის სამეცნ. რეკომენდაციით, ან სახელმწიფო საგამოცდო კომისიის დადგენილებით.

შემომსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: სპეციალობაში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, უცხო ენაში (გერმანული, ფრანგული ან ინგლისური).

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე. განცხადებებს უნდა დაერთოს შემდეგი სამუთები: დიპლომი (დანართით), კონსერვატორიის დამთავრების შესახებ, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ვრცელი ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, ვრცელი დახასიათება სწავლის ან მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, დაბეჭდილი შრომების სია, ან ცნობა შემსრულებლობითი მუშაობის შესახებ, ორი ფოტოსურათი 6×9.

განცხადებები მიიღება 10 სექტემბრამდე, გამოცდები იწარმოებს 15 სექტემბრიდან.

მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 8.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კულაშის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ტექნიკუმში აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1955-56 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე ასაკისა.

ტექნიკუმი ამზადებს უმცროს ზოოტექნიკოსებს და ვეტტექნიკოსებს.

ზოოტექნიკური პროფილის პირველ კურსზე მიიღებიან 8 კლასდამთავრებულნი და 9 და 10 კლასის მოსწავლეები (სწავლების ხანგრძლივობა 4 წელი), ხოლო ვეტერინარულ პროფილზე მიღება იწარმოებს III კურსზე — მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი სწავლების შემოკლებული ვადით (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 6 თვე).

განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე. განცხადებას უნდა დაერთოს: მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, 3 ფოტოსურათი (3×4 სმ.), ცნობა სამხედროვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ (სამხედროვალდებულთათვის), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15-დან 20 აგვისტომდე. მისაღები პირი აბარებს გამოცდებს:

ა) ზოოტექნიკურ პროფილზე 8 კლასის პროგრამის ფარგლებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი) და მათემატიკაში (ზეპირი).

ბ) ვეტერინარულ პროფილზე საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) და მათემატიკაში (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ზოოტექნიკური პროფილის პირველ კურსზე ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი ფრიადზე, ხოლო ვეტერინარული პროფილის III კურსზე ის პირები, რომლებმაც დამთავრეს საშუალო სკოლა ოქროს ან ვერცხლის მედლით.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სასადილოთი და სტიპენდიით საერთო წესით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

მისამართი: სამტრედია, კულაშის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ტექნიკუმი.

შვილები ვახტანგ ოჯახით, იზაბელა, დები ვერა, მარგო, ნინო, თამარ, ქეთო, ლენა, ძმა ვალიკო იუწყებიან

**ქსენია დიმიტრის ასულ წულეისკირი-ზეს